



სარჩევი
SARA BARNAVELI

სამეფო გორგალიანი დროშა
ROYAL GORGASLIAN FLAG

5



ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი
NIKOLOZ NIKOLOZISHVILI

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვაო დროშის ისტორიის თვის
THE MARITIME FLAG OF DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA: A BRIEF HISTORY

15



ჰანა იტერბეკე
HANNAH ITERBEKE

მდრივ სამისის მრავენის რაინდების მახელენის პრეტა და მათი გერგები
KNIGHTS OF THE GOLDEN FLEECE A BRILLIANT MYTH UNRAVELLED

30



ხელტაბაშვი და შავი ზღვების საზღვაო რუკა
CHART OF THE MEDITERRANEAN AND BLACK SEA

49



მიხაილ ვადბოლსკი
MIKHAIL VADBOLSKI

გარეული ცერტიფიკატის თანამდებობა
FROM THE HISTORY OF GEORGIAN HERALDRY

52



ოლეგ ტარნოვსკი
OLEG TARNOVSKI

ოლეგ ტარნოვსკის მიერ მხარი ვადბოლსკისა მიხაილის წერილი
CORRESPONDENCE BETWEEN VADBOLSKY AND TARNOVSKY

59



ზაქარია კიკნაძე
ZACHARY KIKNADZE

საქართველოსთან დაკავშირებული კიდევ ერთი გერგის შესახებ
AN ADDITIONAL COAT OF ARMS ATTRIBUTED TO GEORGIA

63



ნუგზარ მგალობლივილი
NUGZAR MGALOBLISVILI

ავთავების ავთომოური რესაუზების დროშის პროექტის შესახებ
THE PROJECT OF THE FLAG OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

78



დავით კლდიაშვილი
DAVIT KLDIASHVILI

თბილისის გერბისა და დროშის კონკურსის შესახებ
ABOUT THE COMPETITION FOR THE COAT OF ARMS AND FLAG OF TBILISI

82



სარჩევის სახელმწიფო საბჭო
STATE COUNCIL OF HERALDRY

ანგარიში
REPORT

93

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი - მამუკა გონგაძე
მთავარი რედაქტორი - დავით კლფიაშვილი
სარედაქციო კოლეგია - ნინო სიხარულიძე, მიხეილ მირზიაშვილი, დავით ჩხეიძე
ტექნიკური მენეჯერი - ვიქტორია სარჯველაძე
დიზაინერი და დამკაბადონებელი - თამარ კორაშვილი
რედაქტორი - თამარ ხვედელიძე
გამომცემელი - საქართველოს პარლამენტიან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
www.heraldika.ge; e-mail: heraldika@parliament.ge

© საავტორო უფლებები დაცულია. სტატიაში განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.
ურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციის ნებართვის გარეშე
აკრძალულია.

ISSN 2298-0261



ქურნალი „ჰეროლდი“ ათწლეულის განმავლობაში აქვეყნებდა სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებს, სიმბოლოებთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებს, ახალი სიმბოლოების დადგენისათვის საჭირო სამეცნიერო კვლევებს; ჰერალდიკურ, ვექსილოლოგიურ, ნუმიზმატიკურ, ფალერისტიკულ პროექტებს და ახლად აღმოჩენილ არტეფაქტებს.

„ჰეროლდი“ წელს ახალი ფორმატით გამოდის და კვლავაც იქნება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ოფიციალური გამოცემა. ამასთან ყოველწლიური ქურნალი კიდევ უფრო დაიცავს სამეცნიერო კვლევების აკადემიურობას, გაზრდის სიმბოლოების შემოქმედებასთან, დადგენასთან და მათ სამართლებრივ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებას, და კიდევ უფრო მეტად უპასუხებს საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ანგარიშვალდებულებას.

მოემსახურება სახელმწიფოს, მისი ინსტიტუტების მხატვრულ-შინაარსობრივი სახის განსაზღვრავს, რაც თავის მხრივ განაპირობებს საზოგადოების სახელმწიფო-ებრივ და ეროვნულ თვითშეგნებას.

სამეფო გორგასლიანი დროშა

წიგნილან - ქართული დროშები, (თბ. 1953, გვ. 15-20.)

სამეფო დროშას XII-XIV საუკუნეთა თხზულებებში უწოდებენ საქართველოს ძლევამოსილ მეფეთა სახელებს: გორგასლიანს, დავითიანს (ე.ი. დავით აღმაშენებელისას), ბაგრატიონურს (ე.ი. ბაგრატ III-ისას). ის ჩნდება ისტორიულ თხზულებათა ფურცლებზედ საქართველოს გაერთიანების ხანაში. ყოველი შტრიხი, დაკავშირებული მასთან, დიდად მნიშვნელოვანია და მასთან ძალიან საყურადღებოდ გადახლართულია სამეფოს ბედი.

აკ. ივანე ჯავახიშვილი სიფრთხილით უდება ცნობას, რომ დროშა გორგასლიანი იყო: „...თუ მრავალგვარი და ხანგრძლივი პოლიტიკური უკუღმართობის გამო, რომელიც აღმოს. საქართველოს ვახტანგ გორგორგასლის შემდგომ თავს დაატყდა, ადვილი დასაჯერებელი არ არის, რომ დამოუკიდებლობის ისეთი სიმბოლო, როგორიც სახელმწიფო დროშაა, მტრების კლანჭებს გადაპრჩენოდეს, ის ცნობა მანც სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს, რომ თამარ მეფის დროს და შემდეგშიაც საქართველოს სახელმწიფო დროშა ბაგრატის (აღმათ III-ის) და დავით აღმაშენებლის ნაქონები დროშა იყო“¹.

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი იძლევა აბუბაქრ ათაბაგზე გალაშქრების აღწერილობაში ბრძოლის ერთ ეპიზოდს, რომელშიაც ჩვენ ვხედავთ მეფის დავით სოსლანის რაზმის დროშითურთ და ვპოვებთ პირდაპირ ცნობას, რომ მეფის დროშა მართლაც ვახტანგ გორგასალის ლაშქრობათა მონაწილე იყო - „სინდეტს შესლვითგან მოსპეტაკვდებოდა“: „მიახლებოდა მეფე და მისი რაზმი და დროშაი იგი გორგასლიანი, რომელი სინდეტს შესლვითგან მოსპეტაკვდებოდა“².

ეს ცნობა მეორდება შევსებულ ქართლის ცხოვრებაში, რომელიც აშკარა სიყვარულით უმატებს: „მოსპეტაკობდა რეცა სიძერისა სახედ“³.

ეს შესანიშნავი ცნობა დროშის შესახებ ჩვენ წინ გადაშლის რაღაც ფურცლებს დაკარგული საისტორიო თხზულებისა ვახტანგ გორგასალის მეფობის შესახებ, შესაძლოა, იმას, რომლის ნიადაგზეა აღმოცენებული XI საუკუნეში ჯუანშერის ზღაპრულ-რაინდული ნანარმოები, როგორც ჩანს, თამარის პირველი ისტორიკო-

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, გვ.207.

2 ისტორიანი და აზმანი მარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, გვ.107.

3 თამარ მეფის ისტორია (ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამოცემა, გვ. 307).

სის დროსაც ეს ნაწარმოები ჯერაც არსებულა.

თვით ჯუანშერის ისტორიაში სინდეთში გაღაშქურების ამბავი სრულიად არ არის დაკავშირებული საქართველოს სამეფო დროშასთან, დროშა ამ თხზულებაში არ არის ნახსენები.

ეს ცნობა, მონოდებული ისეთი სანდო ისტორიკოსის მიერ, როგორიც არის თამარის პირველი ისტორიკოსი, საგულისხმოა სხვა მხრივაც. იგი მოგვითხრობს სახელმწიფო აღამის თეთრ ფერზე: „**დროშა მოსპეტაკდებოდა**“.

დროშის **თეთრ ფერზე** გვაწვდის ცნობას XIII საუკუნის ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი სივნიეთის ისტორიაში:

„**ღ ასახმან ჰი թაყათების სამართლის მინის ქანი და სამართლის მინის ქანი სტეფანოზ ორბელიანი სივნიეთის ისტორიაში**

„**ღ ასახმან ჰი თარგმანში მ. ბროსე ამ ტექსტის შემდეგ გავეძას იძლევა:**

Mais comme l'étiquette attribuait aux rois la flamme blanche sur un drapeau écarlate, on leur (ორბელთა) avait ordonné de porter la flamme écarlate sur un étendard blanc”⁵.

ე.ი. მეფეებს ჰქონდათ თეთრი ალამი წითელ დროშაზე, ხოლო ამირსპასალარს წითელი ალამი თეთრ დროშაზე.

აკადემიკოსის ივანე ჯავახიშვილის თარგმანი ამ ადგილისა სხვაობს ბროსეს თარგმანისაგან: „**წესად იყო, რომ სახელმწიფო დროშას ბუნი თეთრი უნდა ჰქონოდა, ხოლო ალამი წითელი, ხოლო მათ (ე.ი. ორბელიანი, რომელთაც საქართველოში ამირსპასალარის თანამდებობა ჰქონდათ ხოლმე), ებრძანათ, რომ დროშის ბუნი წითელი ჰქონოდათ, ალამი კი თეთრი**⁶.

რადგან აკად. ჯავახიშვილისა და აკად. ბროსეს თარგმანში სხვადასხვაგვარად გაგებულია დროშის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები: ქანი და სუას და რადგან საჭირო იყო თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობების შეთანხმება სტეფანოზ ორბელიანის მოწმობასთან, მივმართე პროფ. ილია აბულაძეს ტერმინების დაზუსტებისათვის. აჭარიანის ლექსიკონის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ქანი ენოდება დროშის იმ ნაწილს, რომელიც ქსოვილისაგან იყო გაკეთებული, ე.ი. ალამს. სიტყვა სუას გამოხატულების აღმნიშვნელი გამოდის.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართ. ისტ., წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 209.

5 Stephan. Orbelian, L'Histoire de la Siounie, 1864, გვ. 215.

6 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ., წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 209.

აქედან სტეფანოზ ორბელიანის ცნობა შემდეგნაირად უნდა იყოს გაგებული: წესად იყო, რომ ხელმწიფის ალამი თეთრი უნდა ყოფილიყო, ხოლო ნიშანი წითელი, ხოლო ორბელიანთა ნაბრძანები ჰქონდათ რომ დროშის ალამი წითელი ჰქონდათ, ხოლო ნიშანი მასზე თეთრი.

იმის შესახებ, თუ რა ყოფილა საქართველოს სახელმწიფო დროშაზე გამოხატული, აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს: „რა-კი მე-XIII ს. დამლევის ისტორიკოსს სტ. ორბელინს საქართველოს სახელმწიფო დროშის ალამის წ'ა გიორგის სახით მოხატულობის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, ამიტომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მე-XI-XIII სს-შიც იყო ალამზე წმ. გიორგის სახე გამოყვანილი, თუ ეს მერმინდელი დანართია“⁷.

არც შუა საუკუნეების პოლონელი მოგზაურის კოტოვიჩის ცნობა, რომ ქართველების სამხედრო დროშებზედ, ჩვეულებრივად, წმინდა გიორგი იყო დახატული⁸, არ გულისხმობს, რომ ასეთივე იყო სამეფო გორგასლიან დროშაზედაც. სამეფო სხვა დროშების მიმართ, შესაძლოა, ეს სამართლიანი ყოფილიყოს. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, რომ „მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა... გიორგისასა“, XII საუკუნისათვის მართლდება, რამდენადაც გიორგი III-ის ბეჭედზე წმინდა გიორგი ყოფილა გამოხატული. ვახუშტი ბატონიშვილსაც საქართველოს ღერბზე ცხენოსანი წმ. გიორგი ჰყავს დახატული (ამის შესახებ ქვემოთ).

(ინტერესს არ არის მოკლებული იოანე ბატონიშვილის მიერ მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის გერბზე „ცხენი რქოსანი“ იყო გამოხატული. იგი არ წერს, ეს გამოხატულება დროშაზე იყო თუ საბეჭდავზე: „ღერბსა ამა მეფისასა შეჰსძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან, მიმავალმან მარტომ ტფილისიდგან ქუთაისც[ც] საშენებელად... იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შ'ა ცხენი ესე რქოსანი, დაუძახა მეფემან... აღუდვა ლაგამი წმინდის გიორგის ცხენისა.... ცხენი იგი ესრეთი იყო მკვირცხლ და მალი, რომელ ერთს დღეს ადრე მივიდის ტფილისიდგან ქუთაისს და მუნიდგან ქართლს და ქართლიდგან კახეთს“⁹. ამ ცნობას ერთგვარი ანგარიში უნდა ვაეწიოს. შესაძლოა, აქ იგულისხმება გამოხატულება გორგასლიანი დრო-

7 ივ. ჯავახიშვილი, ქარული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 211.

8 იქვე გვ. 209-210.

9 კალმასობა, საქ. მუზ. ხელნაწერი N-H2134, გვ. 473r.

შისა და ამ გამოხატულებამ გამოიწვია ლეგანდაც. სასანურ ბეჭდებზე არაიმებიათია ცხენისა, თუ ცხენისმაგვარ რაღაც ფრთხოსანი არსების გამოხატვა, ზოგჯერ იგი თითქოს რქოსანიც არის (იხ. სურათები ნაშრომში: *Sassanidische Siegelsteine, NN 1388, 1393*)¹⁰.

აკად. ივანე ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს ის გარემოებაც, რომ „საქართველოს დროშას ალამი მიღურსმული კი არ ჰქონია, არამედ მიბმული. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს, მაგ., ნათქვამი აქვს, რომ როდესაც ქართველთა მხედრობა მეფის წინამდღოლობით ომში გაემგზავრა, „ააბეს დროშა სვიანად ხმარებული“-ო... ხელმწიფის კარის გარიგებაშიაც ნათქვამია: განცხადება დღეს, რომ დარბაზობა უნდა მომხდარიყო, ამისთვის „დიდი დროშა ააბან“¹¹.

დროშის აბმა ქართულ ფოლკლორში გვხვდება:

„გუდან შეიტყო, იწამა ღვთითა და ღვთის შობლითაო,
ადგა, ააბა დროშაი ლალის გუდანის ჯვრისაო“¹².

„ქადაგობს გაიდაური: ბძანებს გუდანის ჯვარიო:
საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანიო;
სამი ააბან დროშაი, სამსავ შააბან ზარიო...“¹³.

აბმა დროშისა ახლაც ცოცხალია ივრის ფშავლებში:

„დროშა, რომლითაც ხატიონნი პროცესიას წინ მიუძლოდნენ, სახელდახელოდ გააკეთეს თამარის ხატიდან ლაშარში წამოსვლის წინ. თამარისადმი შეწირული ფერადი (თეთრი, ყვითელი, წითელი და ერთი შავი) „საქადრისები“, რომლებიც თამარის ხატის გაღავანში ხების ტოტებზე ეკიდა, ჩამოხსნეს, დროშის ტარზე ააბეს, შემდეგ ტარს ზემოდან ჩამოჰკიდეს და თავზე ოქროსფერად მოელვარე ლითონის ჯვარი დაამაგრეს. ასე გაჩნდა ლაშარობაზე ხატის დროშა“¹⁴.

ძალიან საგულისხმო მოსაზრებას გამოსთქვამს ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფო **დროშის თავის** მოყვანილობის შესახებ:

10 Horn und Steindorf, *Sassanidische Siegelsteine* (Mitteilungen aus den orientalischen Sammlungen des staatlichen Museums zu Berlin, Heft IV, 1891).

11 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტ., წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 209.

12 პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტფილისი 1937, გვ.35, ჩანერილი ხევსურეთში, 1876.

13 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფილისი 1931 წელი, გვ. 73.

14 ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველები, ენიმების მოამბე XI, თბილისი 1941, გვ. 134-135.

„საქართველოს სახემნიფო დროშის თავის მოყვანილობის შესახებაც მოიპოვება ცნობები. საფიქრებელია, რომ XII ს. მაინც ქართულ ეროვნულ დროშას თავზე ჯვარი უნდა ჰქონოდა. ამას ის გარემობაც ამტკიცებს, რომ არაპ მემატიანის იბნ-ალა-სირის სიტყვით თამარ მეფის დროს არზრუმის მბრძანებელს, რომელიც საქართველოს მეფის ყმად-ნაფიცი იყო და მის ნაწყალობევ საპატიო სამოსლით იმოსებოდა, ქართველებმა ისეთი დროშა გააკეთებინეს, რომელსაც თავზე ჯვარი ამკობდა (დეფრემერი, Frag. გვ. 489-490). თუ ქართველები თავიანთ ყმად-ნაფიცს ანუ ვასალს დროშის თავზე ჯვარს აკეთებინებდნენ, ეს იმას ამტკიცებს, რომ თვით ქართველებსაც სახელმწიფო დროშის თავზე ჯვარი ჰქონიათ... ჯერ კიდევ... თეიმურაზ I დროს კახთა ბატონის დროშის თავი ბროლის ჯვარი ყოფილა“¹⁵.

მაგრამ შესაძლოა, სხვაგვარი დროშის თავიც ყოფილიყო. XIV საუკუნის ცნობით, მაგალითად, ერთ-ერთ სამეფო დროშის თავს შეტყიცების პირიც ნარმოადგენდა: „შეტყიცები სეფე ალმითა“ მოხსენიებულია „კარის გარიგებაში“¹⁶.

სახელმწიფო გორგასლიანი დროშა, იგივე „დროშა სამეფო“, სხვა სამეფო ძალაუფლების ნიშნებთან ერთად მეფისაგან ტახტის მემკვიდრეზედ გადადიოდა¹⁷.

სახელმწიფო დროშა მონაწილეობას იღებდა სამეფოს ყველა მნიშვნელოვან საზეიმო მომენტში, როგორც სამეფო ხელისუფლების ნიშანთაგანს, მას მტკიცედ გარკვეული როლი ჰქონდა მეფის კურთხევის განგებაში: „დასცეს საყუირსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთუის, და დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი... ალმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მისთანა დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი ნინაალმდგომთაგან ნიავთა“¹⁸.

(საყურადღებოა დროშის ძლევამოსილების ეს მხატვრული გამოთქმა. ბასილი ეზოს მოძღვარი სხვაგანაც მიმართავს ამგვარ შედარებას, როდესაც უნდა აღნიშნოს სიხარული თამარის

15 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტორ., წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 211 (დაბეჭდილია შეცდომით „ბროლის ჯვარი“).

16 „ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 9-10.

17 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. 2, გვ. 207.

18 ბასილი ეზოს მოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოც. ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი 1944, გვ. 13.

დაბადების გამო: „იწყო მობერვად ნიავმან ამოანმან“¹⁹. როგორც ჩანს, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსისათვის მშობლიურია, ან ჩვეულია ზღვა და ზღვით მოგზაურობა).

XIII საუკუნეში, როდესაც მეფე კურთხევისათვის ეკლესიაში მიდიოდა, პროცესის წინ მიჰქონდათ ზარი მეფეთა და შემდგომად დროშა და შუბი²⁰.

ეს ზარი, რომელიც წინ უძლვის სამეფო დროშას, მოგვაგონებს აღმოს. საქ. მთის დროშების ზარებს, მაგრამ მთაში ზარი ცალკე არ მისდევს დროშას, არამედ - მიბმულია.

შერჩენილი გვაქვს უფრო ახლო ანალოგია: მთიულეთში ერთ-ერთი საზეიმო პროცესის დროს სათემო ხატთან და დროშასთან ერთად ცალკე ზარებიც მიაქვთ ხოლმე: ზეგარდობას (5-10 აგვისტო) „დეკანოზები სათემო ხატსა და დროშას დუმაცხოს წმ. გიორგის ეკლესიიდან გამოასვენებენ და „სამღვთო მაღალის“ წვერზე ავლენ. წინ მეზარები მიუძლვით, რომლებიც ორ ფუთიან ზარებს მხრებით ეზიდებიან. მეზარე ბიჭები ამას ნებაყოფლობით ასრულებენ იმ რწმენით, რომ ხატი ვითომეც იმ წელიწადს მათი მწყალობელი იქნება. მეზარებმა მხრების შეუცვლელად და ზარების განუწყვეტელ რეკით ეს ზარები მაღალ წვერზე უნდა აიტანონ. ამ სამღვთო მაღალზე დეკანოზები ორი დღედამე რჩებიან, ლოცულობენ და შემდეგ ზარების რეკით და სიმღერა-ფერხულით ისევ დუმაცხოს ეკლესიაში ჩამოვლენ“²¹ და სხვ.

დროშის ზარები იტალიაშიც იყო მიღებული მეთერთმეტე საუკუნეში: Garrocio... italienischer Fahnenwagen mit Glocke (martinella) und dem Stadtbanner vom XI. Jahrhundert²²

სამეფო დიდი დროშა გამოპქონდათ მეფის სხვა საზეიმო გამოსვლებში, მაგალითად, წყალკურთხევაზე მისი წასვლის დროს: წყალკურთხევის შემდეგ პროცესია მიდიოდა ეკლესიაში. მეფის ეკლესიაში ყოფნის დროს, დროშა ეკლესიის კარს იდგა. როდესაც მეფე ეკლესიდან ბრუნდებოდა, მას კვლავ ახლდა გაშლილი დროშა, რომელსაც კარის შესავალს ქვეშ დასდგამდნენ. შემდეგ ხდებოდა დარბაზობა და „დიდი დროშა კარის შემოსავალს“ იდგა²³.

19 იქვე, გვ. 13.

20 მეფის კურთხევის წესი (ს. კაკაბაძის გამოც.), ტფილისი 1913, გვ. 3.

21 ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი 1930, გვ. 158.

22 August Demmin, Die Kriegswaffen, Leipzig 1893, გვ. 689.

23 „ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 2 და 16.

სახელმწიფო დროშის განსაკუთრებული როლი ჩანს **ლაშქრობათა დროს**. ვახტანგ გორგასალს თავისი დროშა ჰქონია თან სინდეტში. პირდაპირი ცნობა გვაქვს, რომ დავით აღმაშენებელს ლაშქრობაში მიჰქონდა ეს დროშა. “აბდულ მესიას” ავტორი წერს:

„გორგასლიანი,
დავითიანი
დროშა იახლის
მსრველად მტერთათვის“²⁴.

ეს დროშა სწორედ ძლევამოსილ ლაშქრობათა გამო ითვლებოდა „ბედნიერად“: „დროშა ბედნიერად ხმარებული“. თვით დავით აღმაშენებელი უწოდებს მას სვიანს თავის ანდებში: „მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა... მივეც (მემკვიდრეს დიმიტრის) დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუემონი“²⁵. უამთაალმწერელიც სამეფო დროშას უწოდებს „სვიანს ბრძოლათა შინა“²⁶, ხოლო, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბასილი ეზოს მოძღვარი სთვლიდა მას დროშად, რომელიც არაოდეს იყო მობერილი წინაალმდგომთაგან ნიავთა.

გაერთიანებული საქართველოს დროშის ისტორია ასახავს ამ სამეფოს ისტორიას. ქართველთა სამეფოს ძლიერების შერყევა მთლიანად დაექსოვა დროშის თავგადასავლს. გიორგი ლაშას დროს მონღლოლთა ურდოების ტალღები პირველად შეეხნენ საქართველოს მინას. ქართველები დამარცხდნენ, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო იმ ძლევამოსილების შემდეგ, რომელიც წინა მეფების დროს უცვლელად თან სდევდა ქართველთა ლაშქრობას.

უამთაალმწერელით, ეს დამარცხება, **რომლის სიმბოლოდ იყო უკუქცევა დავითიანის დროშისა**, იყო შეტრიალება ქართველთა სვიანობისა - პირველი დამარცხება, რომელსაც მოჰყვა სხვა საბედისწერო დამარცხებანი. ამ ადგილას განსაკუთრებით მკვეთრია უამთაალმწერლის, ჩვეულებრივადაც საინტერესო თხრობის ოსტატის, ენა: „იქმნა უკუქცევა სვესვიანისა ბედისა მაღლისა და

24 Н. Марр, Древне-грузинские одописцы, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. IV, СПб 1902, гл. 21.

25 თ. უორდანია, ქრონიკები II, გვ. 51.

26 უამთაალმწერლის თხზული., მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 561.

საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა... აქა უამამდე სვიანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი, ხოლო აქა ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა, ვიდრე უამამდე ჩვენთა²⁷.

შემდეგშიც სამეფო გორგასლიანი დროშის ბედი ასახავდა საქართველოს ისტორიის მსვლელობას. მეფის პოლიტიკის სისუსტე, დიდ მოხელე ფეოდალთა ურჩება, მათი ინტერესების დაუმორჩილებლობა ქვეყნის საერთო საქმისათვის სამეფო დროშის ისტორიაშიც ჩაიქსოვა: ხვარაზმელებთან საბრძოლველად რუსუდან დედოფალმა ლაშქარი ჩააბარა ივანე ათაბაგს (რომელიც სპასალარიც იყო) და უბოძა სეფე დროშა. ბრძოლის დროს ივანე ათაბაგი, წინამბრძოლთა ახალციხელთა შურით, არ ჩაერია ომში. ბრძოლა წაგებულ იქმნა, რასაც მოჰყვა საქართველოს რბევა, „საქართველოს მოსპოლვა“²⁸.

ამ დამარცხების შემდეგ რუსუდან დედოფალმა ხვარაზმელთა წინააღმდეგ სეფე დროშა აღარ „წარგზავნა საქმისათვის ივანე ათაბაგისათვის“²⁹.

უამთააღმნერლის შემდეგ დიდი ხნით წყდება ქართველ ისტორიკოსთა შენახულ თხზულებებში საქართველოს სეფე დროშის ხსენება.

სხვა ცნობების გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ, რუსუდან მეფის ბრძანებით, დიდი სამეფო დროშა დასავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო გადატანილი და ის არ მოჰყვა იმ ხანძარში, რომელშიც დაიღუპა ქალაქი თბილისი და „თვით პალატი და ისანი“ მონღოლთა მოახლოების დროს³⁰. ამის ნიშნებს იძლევა „კარის გარიგება“. აკად. ექვთ. თაყაიშვილის გამოკვლევით, „კარის გარიგება“ უნდა ეკუთვნოდეს მეთოთხმეტე საუკუნეს, განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის დროს (1318-1346)³¹. ძეგლი შედგენილია იმ დროს, როდასაც საქართველო განუყოფელი იყო და ერთ მეფეს ემორჩილებოდა. ძეგლის შედგენის ადგილი არის დასავლეთი საქართველო³². სხვა საყურადღებო დასკვნა, რომელიც გამოჰყავს აკად. ექვთ. თაყაიშვილს „კარის გარიგე-

27 მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“, გვ. 560-561.

28 უამთააღმნერლის ისტორია, მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 566-570.

29 იქვე, გვ. 588.

30 უამთააღმნერლის ისტორია „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამოც. გვ. 360.

31 „ხელმწიფის კარის გარიგება“, წინასიტყვაბა, გვ. VIII.

32 იქვე, გვ. VIII, IX.

ბის“ ტექსტის საფუძველზე, არის ის, რომ ძეგლი დაწერილია ან გელათში, ან გელათის მახლობლად ქუთაისში, სადაც ამ დროს მეფის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო³³. ამ დასკვნიდან შეიძლება ძვირფასი შედეგი მივიღოთ, რომ მთლიანი სამეფოს ქონება, რომელზედაც „კარის გარიგებაში“ არის ლაპარაკი (სალარო, საჭურჭლე, ზარდახანა და სხვ.), დასავლეთ საქართველოში ინახებოდა XIV საუკ. პირველ ნახევარში. ხოლო ზარდახანაში, „ყოველგვარ აბჯარი-იარალის და სამხედრო ნიშნებისა და სამკაულის საწყობში“³⁴ ინახებოდა საქართველოს მთლიანი სამეფოს „დიდი სამეფო დროშა“ და „შები სეფე ალმითა“.

როგორც ნათქვამი იყო, „დიდი დროშა“ იღებდა მინანილეობას სხვადასხვა ცერემონიებში სამეფო კარზედ და, უნდა ვიფიქროთ, რომ მეფედ დალოცვაშიც ვახტანგ II-ისა (დავით ნარინის ძისა) და კონსტანტინესი (ვახტანგ II-ის ძმისა, რომელიც მეფობდა ვახტანგის შემდეგ), ხოლო ეს დალოცვა, „კარის გარიგების“ სიტყვით, მომხდარა ქუთაისში³⁵.

საქართველოს სამეფოებად დაყოფის შემდეგ, როგორც ირკვევა, თვითეულ სამეფოს საკუთარი დროშა ჰქონდათ. გვაქვს ცნობები იმერეთის მეფის დრომაზე, კახთა მეფის დროშაზე, ხოლო საქართველოს ამ დიდ დროშაზედ აღარაფერი ისმის. მაგრამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთში გადასახლებული ქართული ბატონიშვილების დავითისა და ბაგრატის ნაწერებში, კვლავ ჩნდება ეს დროშა დავით აღმაშენებლისა. ორივე ისტორიკოსი ახსენებს მას ახალციხის ბრძოლაში.

დავით ბატონიშვილი წერს: „ხოლო წელსა 1811 მოიკრიბნა ტორმასოვმან ამერ-იმერნი და მხედრობანი რუსთანი... მოადგა ახალციხესა... იძლივნენ რუსნი და ამერ-იმერნი, და მოუღეს თურქთა ორი ზარბაზანი და ბავრაყი დავით აღმაშენებელისა, რომელიცა თანა აქუნდათ იმერთა, მით რამეთუ კერძოსა ძლით იმერთასა იძლივნენ რუსნი“³⁶.

ასეა ბაგრატ ბატონიშვილის სიტყვითაც: „ხოლო წელსა 1810, ნოემბრის 5 ნარვიდა უპირველესი მართებელი საქართველოისა ტორმასოვი ახალციხის დასაპყრობელად მხედრობითა თვისითა

33 იქვე, გვ. X.

34 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლ. ისტორ., წიგნი II, ნაკ. I, გვ. 155.

35 „ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. VI.

36 დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია (დავით ბატონიშვილი „ახალი ისტორია“, ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“), თბილისი 1941, გვ. 38.

და ეგრეთვე ქართლ-კახეთითა და იმერეთითა, რომელნიცა ახლდა თანა დადიანი ლეონცა მხედრობითა თვისითა... მიეტევნენ ციხესა ზედა იმერნი... იძლივნენ და ნარულეს ოსმალთა იმერთა დროშაი წ'ისა დავით მეფისა აღმაშენებელისა³⁷ (ამგვარად, შესაძლოა ოსმალეთში აღმოჩნდეს ეს დროშა).

ეს ცნობები გვაფიქრებინებენ, რომ „კარის გარიგება“-ში შესაძლოა იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებლის დროშა.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, დროშა გორგასლიანი თამარის მეფობის დროს ჯერ კიდევ არსებობდა. როდესაც მონლოლებმა გიორგი ლაშა დაამარცხეს, მოხდა გორგასლიანი დროშის „უკუქცევა“, მაგრამ არა ნართმევა. უსვეობა გრძელდებოდა მთელი XIII საუკუნე, — უამთააღმნერლის ტექსტის თანახმად, — „ვიდრე უამამდე ჩვენდა“. ეს ნიშნავს — გიორგი ბრწყინვალის დრომდე, რადგან უამთააღმნერლი ცხოვრობდა ამ დროს (შესაძლოა, უფრო გვიანაც), როგორც გამორკვეულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ³⁸.

ეს იყო, ცხადია, დიდ გამარჯვებათა პერიოდი და, შესაძლოა, გამოთქმა „ვიდრე უამამდე ჩვენდა“ გულისხმობს, რომ დროშას სვიანობა დაუბრუნდა.

„კარის გარიგება“-ში „დიდ დროშას“ ეპითეტი არ ახლავს, მაგრამ ძეგლის შედგენის დრო იგივე გიორგი ბრწყინვალის დრო არის და ამიტომ დიდი სამეფო დროშა იგივე „დავითიანი და გორგასლიანი“ უნდა იყოს.

უფრო ძნელია გადაწყვეტა, დროშა, მოხსენებული ბაგრატ და დავით ბატონიშვილების მიერ, არის თუ არა „დროშა გორგასლიანი“ და არა პირადი დროშა დავით აღმაშენებლისა.

სარა ბარნაველი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

37 ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა (დავით ბატონიშვილი „ახალი ისტორია“, ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“), თბილისი 1941, გვ. 114.

38 ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი 1945, გვ. 248.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგზაო დროშის ისტორიისთვის

ზღვაოსნობის ისტორიაში გემებისთვის დროშების გამოყენებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ანტიკურ ხანიდან, გემის მესაკუთრის ამოსაცნობად, განსაკუთრებული ფერების გამოყენება გემის პლანშირზე, ან სიმბოლოებისათვის, მოგვიანებით, აფრებზე გერბების გამოსახვა ჩვეულებად იქცა. შუასაუკუნეებიდან გერბები თანდათანობით დროშებმა ჩაანაცვლეს, ხოლო XVII ასწლეულიდან ეს ტრადიცია საყოველთაოდ გავრცელდა.

ნაოსნობასთან და სამხედრო საქმის განვითარებასთან ერთად აუცილებელი გახდა როგორც სამხედრო, ასევე სავაჭრო გემებზე აღმართულიყო დროშა, რომელიც მტერს თუ მოყვარეს კონკრეტული გემის ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი კუთვნილების, მისი „ეროვნულობის“ (nationality) ადვილად დადგენის საშუალებას მისცემდა. საზღვაო-სამხედრო და სავაჭრო დროშების ფორმა და მხატვრული დიზაინი, ზოგჯერ განსხვავდებოდა სახელმწიფო დროშისგან, ზოგჯერ კი მისი იდენტური იყო. დღეს, ქვეყნების უმრავლესობა ყველა ამ მიზნისთვის ერთ, ეროვნულ დროშას იყენებს, თუმცა ზოგ შემთხვევებში განსხვავებაც დასაშვებია, რომელიც ეროვნული დროშისგან პროპორციებსა და ფერებში გარკვეული ცვლილებით გამოიხატება. ამასთან, როგორც წესი, განსხვავდება ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო-საზღვაო დროშა და სავაჭრო ფლოტის დროშა.

აღნიშნული ტრადიცია არც შუასაუკუნეების ქართული სინამდვილისთვის იყო უცხო. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ სტროფში ვკითხულობთ: „გამოჩნდა ნავი მეკობრე, დროშითა მეტად გრძელითა“. თუმცა, მასალის სიმწირის გამო, შუა საუკუნეებში საქართველოში საზღვაო დროშების გამოყენების შესახებ რაიმეს მტკიცება შეუძლებელია. მოგვიანებით ცნობილია ერთი ფაქტი, როდესაც სამეგრელოს მთავარმა და მისმა ბერძენმა კომპანიონმა, ნიკოლოზ მეტაქსისმა რუსეთის ხელისუფლებას მიმართეს თხოვნით, მათ მიერ 1833 წელს აგებულ ხომალდზე - „ხოპის ღვთისშობელი“ - რუსეთის იმპერიის დროშა აეფრიალებინათ.¹

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროის (1918-1921წნ.) ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორია დაწვრილებით არის განხილული დიმიტრი სილაქაძის სადისერ-

1 ბერიძე თ. ზღვაოსნობა ქველ საქართველოში, თბ., ნაკადული, 1981, გვ. 101-104.

ტაციო ნაშრომში², რასაც ვერ ვიტყვით სავაჭრო-სამოქალაქო ფლოტის შესახებ. ქართულ და უცხოურ არქივებში გაფანტული მასალა შეკრებასა და სათანადო დამუშავებას საჭიროებს. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის საზღვაო ნაოსნობასთან დაკავშირებული ბევრი დეტალი, ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ერთ-ერთი ასეთი, არცთუ უმნიშვნელო დეტალია, ქართული საზღვაო დროშის საკითხი. ამ წერილით შევეცდები, გარკვეულ-წილად ეს ხარვეზი შევავსო.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მალევე, ყოფილი რუსეთის იმპერიის შავი ზღვის ფლოტის გემების კუთვნილება ერთ-ერთი მნვავე სადაო საკითხი გახდა. ცალკეულ სამხედრო ოუ სამოქალაქო გემებზე პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, უკრაინა, მოხალისეთა არმია და შემდეგ საბჭოთა რუსეთი. მიუხედავად ამისა, საქართველომ მაინც მოახერხა რამდენიმე მცურავი საშუალების თავმოყრა და მათი, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მიზნებისთვის გამოყენება. მაგრამ, ოუ რა დროშის ქვეშ დაცურავდნენ საქართველოს კუთვნილი გემები 1918 წელს, ამის დადგენა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

პირველი ცნობა, საქართველოს კუთვნილ გემზე ქართული დროშის აღმართვის შესახებ, 1919 წელს ჩნდება. ერთ ცნობაში, რომელიც 15 მარტის მოვლენას ასახავს, საუბარია საქართველოს სამხედრო ფლოტილის კატარლაზე დროშის აღმართვის ფატეზე. კერძოდ, როგორც ირკვევა, ამ დღეს, ფოთში, წყალში ჩაუშვიათ „გრინბორტის“ ტიპის ახლად გარემონტებული კატარლა, რომელ-საც „პატარა კახი“ უწოდეს. სამხედრო ფლოტის სარდალმა, პირველი რანგის კაპიტანმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ საზეიმო სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც აღნიშნავდა: „მოგილოცავთ მხურვალე გულით ეროვნულ გემის წყალში ჩაშვების დღეს. ვარ ღრმათ დარწმუნებული, რომ პატარა, ახლად შობილი ფლოტი გაამართლებს მასზედ დამყარებულ ჩვენ ძვირფას სამშობლოს შვილთა იმედებს. მაქვს სრული იმედი, რომ ჩვენ მიერ პირველად აღმართული დროშა ახალ გემზე არასდროს ჩამოეშვება ძირს მტრის წინაშე, როგორც არ ჩამოშვებულა იგი მის სეხნის ერეკლე მეორის რაინდულსა და ძლევამოსილს ეპოხაში.“³ სამწუხაროდ, არავითარი მინიშნება

2 სილაქაძე დ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის ორგანიზაცია და შეარაღება. თბ., 2023, გვ. 229-248.

3 სილაქაძე დ., დასახ. ნაშრომი, გვ. 239; სცა. ფონდი 1969, ანან. 2. საქმ. 121, ფურც. 24.

დროშის ფორმაზე, ფერსა თუ პროპორციებზე ამ ცნობაში არ გვაქვს.

მეორე ცნობა, მცურავ საშუალებებზე დროშის გამოყენებისა, მოყვანილია 1919 წლის 13 დეკემბერს მიღებულ კანონში „საქართველოს რესპუბლიკის ნავთსადგურებში გადასახადთა ახალი ნიხრის დაწესების შესახებ“, სადაც ვკითხულობთ, რომ სანაოსნო გადასახადი არ ეხება გარკვეული კატეგორიის გემებს, რომელთა შორის აღნიშნულია: 1) „სამხედრო ბაირალიანი და მთავრობის დაწესებულებათა საკუთარი გემები“ და 2) „ქართული ბაირალის ქვეშ მყოფი გემები, რომელთა ტვირთტევა 20 ტონაზე ნაკლები აქვთ.“⁴ აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხედრო და სამოქალაქო-საგაჭრო გემებზე განსხვავებული დროშები იფინებოდა: სამხედრო ფლოტის კუთვნილ მცურავ საშუალებებზე - „სამხედრო ბაირალი“, ხოლო სამოქალაქო დანიშნულების მცურავ საშუალებებზე - „ქართული ბაირალი“.

ჩემი აზრით, „ქართული ბაირალში“ უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, რომლის აღწერილობაც მოცემულია 1918 წლის 10 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს და მთავრობის მიერ მიღებულ კანონში „საქართველოს რესპუბლიკის დროშის“ შესახებ. კანონში ვკითხულობთ: „1. საქართველოს რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა სამფეროვანი: წითელის (შვინდის ფერის), შავის და თეთრის ფერისა. დროშას შეადგენს: თეთრი ბუნი თავში ბირთვითა და შუბის წვერით, ალამი წითელი (შვინდის ფერისა) შავი და თეთრი თანასწორი ზოლებით ზემო კუთხეში ბუნთან; შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევრს და სიგრძის ორ მეხუთედს.“⁵ საგაჭრო ფლოტის გემების მიერ სახელმწიფო დროშის გამოყენება, ჩვეულებრივი ამბავია.

რაც შეეხება „სამხედრო ბაირალს“, ეს საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს გამორკვევას. საქმე ისაა, რომ 1918 წელსვე, 27 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ მიიღო „კანონი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშის“ შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო

4 კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული. საქართველოს სენატთან არსებული საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა. 1920 წ. იანვრის 29, N22 პირველი ნაწილი, გვ. 417.

5 საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული, 1918 წ. ოუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა. ტფ., საქართველოს მთავრობის სტამბა, 1919, გვ. 86.

დროშა შესდგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის დერბი გვირგვინში; ალამს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია, გარშემორტყმულია ვერცხლის ზოლით; ალამს აქვს სამი შვინდისფერი კუნუბი, ვერცხლის ზოლ-შემოვლებული. დროშის ბუნი შვინდისფერია, მოოქროვილ-ლახვრიანი, რომელზედაც ცალმეტად ჩამოშვებულია ორი ოქროს ფორჩი.⁶ სამწუხაროდ, ამ სამხედრო დროშის არც ასლი და არც ფოტო შემორჩენილი არ არის. დღესდღეობით, გვაქვს მხოლოდ მისი აღნერილობის მიხედვით საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ რეკონსტრუირებული ვერსია.⁷ როგორც წესი, საერთაშორისო პრაქტიკაში ტრამინში - „სამხედრო დროშა“, ძირითადად, იგულისხმება დროშა, რომელსაც სახმელეთო ჯარები იყენებდნენ და კონკრეტული სახელმწიფო დროშის ვარიაციას ნარმოადგენს ხოლმე, მაგრამ სამხედრო გემებზე აღმართული დროშა („სამხედრო ბაირალი“), ტრადიციულად, განსხვავებული იყო სახმელეთო ძალების დროშისგან.

სულ ახლახანს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვაო დროშის ძალიან საინტერესო ნიმუში აღმოჩნდა არგენტინის დიპლომატიურ არქივში, რომელსაც არგენტინაში საქართველოს საელჩომ მიაკვლია, სხვა ორმხრივ დიპლომატიურ კორესპონდენციასთან ერთად (აღნიშნული კორესპონდენციის ციფრული ვერსია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს 2024 წლის 28 მარტს, არგენტინის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დროს, გადასცა არგენტინელმა კოლეგამ, დიანა მონდინომ). ირკვევა, რომ არგენტინასა და საქართველოს შორის დიპლომატიური მიმოწერა, ძირითადად, ბერლინში მყოფი ორი ქვეყნის წარმომადგენლობების მეშვეობით ხორციელდებოდა. როგორც ცნობილია, არგენტინამ საქართველოს დამოუკიდებლობა 1919 წლის 15 სექტემბრის დეკრეტით სცნო, ხოლო იმავე წლის 20 ნოემბერს არგენტინის საგარეო საქმეთა და აღმსარებლობის სამინისტრო მოკლე დეპეშით სთხოვს თავის წავის წარმომადგენლობას ბერლინში, დედაქალაქს საქართველოს მიერ მიღებუ-

6 საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული, 1918 წ. ოუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა. ტფ., საქართველოს მთავრობის სტამბა, 1919, გვ. 86, 259-260.

7 ჟურნ. „ჰერლოდი“ N7, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები 1918-2018. თბ. 2018, გვ. 41.

ლი ოფიციალური დროშის შესახებ ინფორმაცია გამოუგზავნოს. ტელეგრამაში ამ მოთხოვნის მიზეზები განმარტებული არ არის.

ბერლინში არგენტინის წარმომადგენელს, საგანგებო დესპანს და სრულუფლებიან მინისტრ⁸ ლუის ბ. მოლინას (Luis B. Molina) 1919 წლის ნოემბერში ნოტით მიუმართავს საქართველოს წარმომადგენლობისთვის ამ თხოვნით და მასთან ერთად, დროშის ნიმუშიც მოუთხოვია (ნოტის ასლი შემონახული არ არის). საპასუხო ნოტა N1286 საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ვლადიმერ ახმეტელმა არგენტინელ კოლეგას 18 დეკემბერს გაუგზავნა. მასში ნათქეამია: „ბატონო მინისტრო, თქვენი აღმატებულების 1919 წლის 25 ნოემბრის N1878 ნოტის პასუხად, საქართველოს მიერ მიღებულ ოფიციალურ დროშასთან დაკავშირებით მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს დროშა შედგება სამი ფერისგან: მუქი წითელი, შავი და თეთრი. ფონი არის მუქი წითელი, ორი - შავი და თეთრი ზოლით, ორ მწკრივად, თანაბარი სიგრძითა და სიგანით, რომელიც დროშის მარცხენა ზედა კუთხიდან მარჯვნივ არის მიმართული და სიგრძეში განვრცობილია ორ მესამედზე, ქმნის რა ერთად, განის ნახევარს. რაც შეეხება ნიმუშს, მას გამოგიგზავნით, როგორც კი ხელთ მექნება“.

აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ნოტაში საუბარია იმაზე, რომ შავი და თეთრი ზოლები შეადგენს დროშის განის ნახევარს და სიგრძის ორ მესამედს; კანონში რესპუბლიკის დროშის შესახებ კი ვკითხულობთ, რომ „შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მეხუთედს“, რაც თვალშისაცემი და მნიშვნელოვანი სხვაობაა. ლუის მოლინა აღარ დაელოდა ქართული დროშის ნიმუშს და 24 დეკემბერს თავის მინისტრს გაუგზავნა ახმეტელისგან მიღებული ნოტის ფრანგული დედნის ასლი, ესპანური თარგმანითურთ, რომელმაც ბუენოს-აირესში მხოლოდ 1920 წლის 10 თებერვალს ჩააღწია. თავის მხრივ, არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, 12 თებერვალს, ქართული დროშის აღწერილობა საზღვაო სამინისტროს გადაუგზავნა.

საზღვაო სამინისტრო არ დააკმაყოფილა საქართველოს დროშის შესახებ მხოლოდ წერილობითი ინფორმაციის მიღებამ და 20 თებერვალს კვლავ მოითხოვა დროშის ნიმუში, ან მოდელი (el ejemplar o modelo). საზღვაო სამინისტროს გენერალური მდივანი, სანაოსნო ძალების კაპიტანი ისმაელ ფ. გალინდესი (Ismael F. Galin-


⁸ დიპლომატიური რანგი, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩიზე ერთი საფეხურით დაბალი.

dez) საგარეო საქმეთა და აღმსარებლობის მინისტრის მოადგილის, დოქტორ დიეგო ლ. მოლინარის (Diego L. Molinari) მიმართ გაგზავნილ წერილში განმარტვადა დროშის ნიმუშის მოთხოვნის მიზეზს: „გიდასტურებთ მიმდინარე თვის 12 რიცხვში მიღებას ნოტისა, რომელსაც თან ახლავს საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობის (გერმანიაში) ნოტა ბერლინში ჩვენი ლეგაციისადმი, ოფიციალური სახელმწიფო დროშის შესახებ ინფორმაციითურთ. ამავდროულად, ვაცნობებ თქვენს აღმატებულებას, რომ ჩვენს სამხედრო ხომალდზე არსებულ უცხო სახელმწიფოთა დროშების სექციაში დამატების მიზნით, სიგნალთა საერთაშორისო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისთვის, ასევე საზღვაო ცერემონიით დაწესებული პატივის მისაგებად, სამინისტროს განზრახული აქვს დაამზადოს საქართველოს დროშა, როს გამოც, აუცილებელია ჩვენს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ეთხოვოს მოგვანოდოს დროშის ნიმუში, მისი პარამეტრები და შემადგენელ კომპონენტთა დეტალები, თუკი მას აქვს ზოლები ან განსხვავებულ ფერთა გამა. ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, თქვენს უმაღლესობას ვთხოვთ, საქართველოს რესპუბლიკის დროშის ნიმუშის ან მოდელის მიღებისთანავე, ეს უკანასკნელი მიენოდოს სამინისტროს, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს ანალოგიური პროცესი ფინეთთან, პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან მიმართებაში - ქვეყნებთან, რომლებიც უკვე აღიარა არგენტინის მთავრობამ, თანახმად მიღებული მასალებისა.“⁹

საზღვაო სამინისტროს წერილის საფუძველზე, 1920 წლის 1 მარტის წერილში, არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, დიეგო მოლინარი კვლავ უმეორებს ბერლინში არგენტინის წარმომადგენელს, ლუის მოლინას თხოვნას, რათა ამ უკანასკნელმა გამოგზავნოს საქართველოს ოფიციალური დროშის ნიმუში. ამჯერად, ის უკვე აზუსტებს, რომ ნიმუშს და აღნერილობას ითხოვს საზღვაო სამინისტრო, სიგნალთა საერთაშორისო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში გამოყენებისა და ასევე საზღვაო ცერემონიით დაწესებული პატივის მიგების მიზნით. ამ დავალებას არგენტინის წარმომადგენელი ლუის მოლინა საკმაოდ გვიან, მხოლოდ 5 მაისს ასრულებს და საგარეო საქმეთა მინისტრს, ონორიო პუერიდონს უგზავნის მოთხოვნილი დროშის ნიმუშს (ფოტო N1) შემდეგი ტექსტით: „ბატონო მინისტრო, სამინ-

⁹ ესპანურიდან თარგმანი ნ. ფიფასი.

ისტორის 1 მარტით დათარიღებული N48 წერილის პასუხად და ამავე ლეგაციის N1968/M.514 გასული წლის 24 დეკემბრის წერილზე დამატებით, მაქვს პატივი ვაახლო თქვენს აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დროშის თანდართული ნიმუში, რომელიც მე მივიღე აღნიშნული ქვეყნის წარმომადგენლისგან“. არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლუის მოლინას წერილი 29 ივლისს მიიღო და საზღვაო სამინისტროს გენერალურ მდივანს მეორე დღესვე გადაუგზავნა.



ფოტო N1

აქ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ 1920 წლის 5 მაისს ბერლინიდან ბუენოს აირესში გაგზავნილი საქართველოს დროშის ნიმუში, ზედმიწევნით შეესაბამება ვლ. ახმეტელის მიერ 1919 წლის 18 დეკემბრის ნოტაში მოცემულ დროშის პროპორციების აღწერილობას: „ორი - შავი და თეთრი ზოლით... სიგრძეში განვირცობილია ორ მესამედზე, ქმნის რა ერთად, განის ნახევარს“. ეს კი აჩენს კითხვას, ამ პროპორციების სხვაობა რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის პროპორციების მიმართ („შავი და თეთრი ზოლები შეადგენს ალამის განის ნახევარს და სიგრძის ორ მესუთედს“) შემთხვევითია, თუ გააზრებული ქმედებაა? თუ ვიფიქრებთ, რომ 1919

ნლის დეკემბრის ნოტაში ვლ. ახმეტელმა შეცდომა დაუშვა და „ორი მეხუთედის“ ნაცვლად მექანიკურად ჩაწერა „ორი მესამე-დი“, მაშინ მას, 1920 წლის მაისამდე საკმაო დრო ჰქონდა იმისათვის, რომ შეცდომა გამოესწორებინა და რამდენიმე თვის შემდეგ მაინც გადაეგზავნა დროშის სწორი პროპორციები, ახალი აღნერილობით. მაგრამ, ამის საპირისპიროდ, ის აგზავნის საკმაოდ აკურატულად შესრულებული დროშის ჩანახატს, სადაც შავ-თეთრი ზოლები დროშის სიგრძის ორ მესამედს შეადგენებ და არა ორ მეხუთედს, როგორც ეს კანონით იყო განერილი. ვლ. ახმეტელი რომ საქმეს სრული პასუხისმგებლობითა და გააზრებულად მიუდგა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ესკიზის მარცხენა ნაწილში, დამატებით, ნიმუშად მიუკერებია დროშაზე გამოყენებული ფერების ქსოვილის ნაჭრები - შავი, თეთრი და შინდისფერი.

საკითხს უაღრესად საინტერესოს ხდის ერთი გარემოება: როგორც ჩანს, არგენტინის მაგალითი აღმოჩნდა ბიძგი იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებას, მოკავშირეთა მიერ ოკუპირებულ ბათუმსა და კონსტანტინოპოლში თავისი წარმომადგენლობებისა და, ასევე, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს მთავრობის დელეგაციის სახით, საქართველოს კუთვნილი გემების ეროვნული დროშის ქვეშ ცურვის უფლების მოსაპოვებლად ფართო საერთაშორისო კამპანია წამოეწყო. საფრანგეთის დიპლომატიურ არქივში ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე დოკუმენტია დაცული.¹⁰ პირველი დოკუმენტი თარიღდება 1919 წლის 20 დეკემბრით. კერძოდ, საფრანგეთის რესპუბლიკის უმაღლეს კომისარი აღმოსავლეთში, უიულ-ალბერ დეფრანსი (Jules-Albert Debrance) კონსტანტინოპოლიდან ატყობინებს საგარეო საქმეთა მინისტრ სტეფან პიშონს (Stephen Pichon), რომ საქართველოს მთავრობამ კონსტანტინოპოლში ბაზირებულ მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ხელისუფლებას სთხოვა, საქართველოს კუთვნილ გემ „Ekaterina“-სთვის მიეცათ შავ ზღვაზე ქართული დროშის ქვეშ ცურვის ნებართვა. ადგილზე მოკავშირეთა ადმირალებს მიაჩნდათ, რომ ანტანტის გემებს ფაქტობრივად შეეძლოთ ამ ხომალდის დაცვის უზრუნველყოფა, მაგრამ დენიკინის დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო გემებთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, ამ არაღიარებული დროშის ქვეშ მცურავი

¹⁰ Archives du ministère des Affaires étrangères, Z-655-14A, Géorgie, Navigation maritime. მასალების მოწოდებისათვის მადლობას უქმდი საფრანგეთში საქართველოს საერთო მრჩეველს თ. ქარჩავას და ისტორიკოს გ. მამულიას.

გემის დაცვის გარანტიას ისინი ვერ იძლეოდნენ. კონსტანტინოპოლიში მოკავშირეთა უმაღლეს კომისარებს (საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი) მოუთათბირებიათ, რომ საკითხი გადაეგზავნათ თავიანთი მთავრობებისთვის შესასწავლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

იმავე დღეს, ბათუმში საქართველოს კონსულმა (ამ დროს ამ მოვალეობას პეტრე ჩინიჯიშვილი ასრულებდა), მის წერილზე საპასუხოდ, ბათუმის ინგლისელი სამხედრო გუბერნატორის, ჯეიმს კუკ-კოლისისგან (James Cooke-Collis; ასევე Cook-Colliss) მიიღო ნოტა, რომლითაც ის ატყობინებდა, რომ საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ სავაჭრო გემებს ეძლეოდათ ბათუმის პორტში შემოსვლის უფლება. გენერალი კმაყოფილებას გამოხატავდა ბათუმსა და შავი ზღვის ქართულ პორტებს შორის ლეგალური სავაჭრო ურთიერთობების დამყარების გამო, პირობას იძლეოდა, რომ ქართული დროშის ქვეშ მცურავი თითოეული გემი ბათუმში ბრიტანეთის ხელისუფლების მფარველობით ისარგებლებდა, მაგრამ ამ გემებს უნდა ჰქონდათ აუცილებელი დოკუმენტაცია და საქართველოს მთავრობის ავტორიზაცია.¹¹

საქართველოს კონსულმა ოჩამჩირის, სოხუმის, ახალი-ათონის, ფოთის, გუდაუთისა და გაგრის ქალაქის თავებს ერთდროულად შემდეგი დეპერადა გაუგზავნა: „ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა კუკ-კოლისმა და მე ხელი მოვაწერეთ შემდეგ შეთანხმებას: ბათუმის პორტში შესვლის უფლება ექნება საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნებართვისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების მქონე საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ ყველა გემს; მათ გარანტირებული ექნებათ ბათუმსა და საქართველოს პორტებს შორის თავისუფალი ვაჭრობის უფლება. მათი პორტში ყოფნისას ისინი იქნებიან ბრიტანეთის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ. გემების კაპიტანები, ჩამოსალისთანავე, უნდა გამოცხადდნენ ჩემთან რეგისტრაციისთვის და თავიანთი საბუთების გასაფორმებლად. გემები, რომლებიც აპირებენ გაემგზავრონ ბათუმიდან ჩვენს პორტებში, ასევე ვალდებული იქნებიან წარმოადგინონ სანიტარული პასპორტები. საქართველოს კონსული ჩინიჯიშვილი.“¹²

მაგრამ, მოკავშირეთა ძალებისთვის პრობლემატური იყო არაქართული დროშის ქვეშ მცურავი სავაჭრო გემები, არამედ სამხედრო გემები, რომლებსაც შეიძლებოდა შავ ზღავზე კონფლიქტის

11 La Géorgie Indépendante N24, 23 Novembre 1919 გ. 23.


12 La Géorgie Indépendante N24.

ესკალაცია გამოეწვიათ და რეგიონში დამატებითი უსაფრთხოების პრობლემები შეექმნათ მოკავშირეთათვის. კონსტანტინოპოლში ფრანგი ვიცე-ადმირალი დე ბონი (Ferdinand-Jean-Jacques de Bon) სწორედ ასე ხედავდა პრობლემას, რომელიც 1919 წლის 24 დეკემბერს პარიზში საზღვაო ძალების მთავარსარდლობას წერდა: „საქართველოს დროშის საკითხი გაჩნდა იმის გამო, რომ საქართველომ იარაღით აღჭურვა ერთი გემი და შესაძლოა ხელი შეუშალოს რუსული სამხედრო ტექნიკის ტრანსპორტირებას ტრაპიზონიდან ნოვოროსიისკენ. თუ თქვენგან სხვა რამ დავალებას არ მივიღებ, მე ვაცნობებ ქართველებს, რომ ბოროტგანზრახულ აქტად მივიჩნევ ყოველგვარ მტრულ ქმედებას, რომელსაც ზღვაზე არაღიარებული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემი ჩაიღინა“. ამ ტელეგრამის ასლი ასევე დაეგზავნა რესპუბლიკის პრეზიდენტს, მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს და მარშალ ფოშს (Ferdinand Foch). საფრანგეთის საგარეო უწყება ვიცე-ადმირალის ამ წინადადებას მოწონებით შეხვდა.

1920 წლის 4 იანვარს ვიცე-ადმირალი დე ბონი საზღვაო მინისტრს უგზავნის საქართველოს რესპუბლიკის დროშის შავ-თეთრ გრაფიკულ ჩანახაზს ძალიან მოკლე აღნერილობით: „საქართველოს დროშა წითელია ნახევრად შავ-თეთრი ითხევუთხა ჩარჩოთი, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ჩანახატზე.“ (იხ. ფოტო N2). იქვე დე ბონი შედარებით ვრცლად განმარტავდა, რომ გენერალმა კუკ-კოლისმა აიღო ვალდებულება, ნება დაერთო და მფარველობა მიეცა საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი სავაჭრო გემებისთვის ბათუმში, თუმცა, პრობლემურ საკითხად რჩება რამდენიმე ქართული მცირე სამხედრო გემი, საქართველოსა და გენერალ დენიკინს შორის დაძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე; მითუმეტეს, რომ დენიკინის წარმომადგენელმა ბათუმში მოკავშირებს სთხოვა, ქართული სამხედრო გემებისაგან დაეცვათ რუსული გემები, რომლებსაც ტრაპიზონიდან ნოვორისისკენი მეფის რუსეთის კუთვნილი სამხედრო ტექნიკა უნდა გადაეზიდა. ასეთ ვითარებაში ვიცე-ადმირალი დე ბონი გამოთქვამდა თავის თვალსაზრისს და პარიზიდან ითხოვდა დამატებით ინსტრუქციას: „ჩემი შეხედულება ასეთია: საქართველოს მთავრობა არ არის აღიარებული სახელმწიფოების მიერ, მაგრამ ის არის de facto მთავრობა. მე მიმაჩნია, რომ სავაჭრო გემებს შეუძლიათ ჰქონდეთ საქართველოს დროშის ქვეშ ცურვის უფლება, იმ პირობით, თუ

მათ კარგი რეპუტაცია აქვთ თავიანთ მთავრობასთან და იცავენ საერთაშორისო კანონმდებლობას. მეორეს მხრივ, მიმართია, რომ არალიარებული დროშის ქვეშ მცურავ ხომალდს არ აქვს უფლება ჩაერთოს მტრულ ქმედებებში ზღვაზე და რომ, ასეთ შემთხვევაში, ეს ქმედება მეკობრეობის აქტად უნდა ჩაითვალოს. მოხარული ვიქები, თუ დამიდასტურებთ, რომ ასეთია თქვენი თვალსაზრისიც, და თუ არა, გთხოვთ მომცეთ ინსტრუქცია, როგორ ვიმოქმედოთ საქართველოსთან მიმართებაში“.

Le pavillon géorgien est rouge avec un franc quartier mi-parti noir et blanc, ainsi que l'indique le croquis ci-dessous.



La Géorgie possède quelques bâtiments de commerce qui battent pavilles géorgiens; le Général COOK-COLLIS, Gouverneur de BATOURI, a pris l'engagement de les laisser commercer librement à BATOURI s'ille

ფოტო N2


1920 წლის 10 იანვარს, მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების de facto აღიარების შემდეგ, საფრანგეთის საზღვაო სამინისტრომ შეკითხვით მიმართა (20 იანვარი) საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ეს აღიარება ცვლიდა თუ არა იმ მიღომას ქართული დროშის ქვეშ მცურავი გემების მიმართ, რომელიც წინა ინსტრუქციებში იყო დაფიქსირებული, რაზედაც საგარეო უწყებამ 22 იანვარს უპასუხა: „რამდენადაც მოკავშირე სახელმწიფოებმა საქართველოს მთავრობა აღიარეს de facto მთავრობად, მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ეს გემები უფლებამოსილი არიან იცურონ თავიანთი ეროვნული დროშის ქვეშ“. იმავე შინაარსის დეპეშა, იმავე დღეს, საგარეო უწყებამ გაუგზავნა კონსტანტინოპოლიში საფრანგეთის უმაღლეს კომისარს: „თქვენი 20 დეკემბრის N758 წერილის საპასუხოდ, რომელიც ეხება ქართულ გემ “Ekaterina”-ს, მაქვს პატივი

გაცნობოთ, რომ საქართველოს მთავრობა მოკავშირე სახელმწიფო ორების მიერ de facto მთავრობად იქნა აღიარებული, მისი გემები უფლებამოსილი არიან იცურონ თავიანთი ეროვნული დროშის ქვეშ“.

ეს უკვე, შეიძლება ითქვას, გარკვეული გარღვევა იყო მოჯადოებული წრიდან, რასაც მოჰყევა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის თავმჯდომარის, ნიკოლოზ ჩხეიძის სწრაფი რეაქცია. 1920 წლის 23 იანვარს საქართველოს დელეგაციამ ოფიციალური ნოტით (N1322) მიმართა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ალექსანდრ მილიერანს. მასში ვკითხულობთ: „თქვენ აღმატებულებავ, გვაქვს პატივი, გთხოვთ, ნება დართოთ საფრანგეთის წყლებში მცურავ ქართულ გემებს, გამოფინონ ეროვნული დროშა და ამ დროშას გაუწიოთ დახმარება და მფარველობა. საქართველოს 1918 წლის 10 სექტემბრის კანონის შესაბამისად, საქართველოს დროშია აღნერა, რომლის ნიმუშიც დართულია ამ წერილს, შემდეგია: ბუნი: თეთრი, თავში ბირთვითა და შუბის წვერით; ალამი: შინდისფერ ფონზე, ორი ჰორიზონტალური ზოლი თანაბარი ზომისა, შავი ზევით, თეთრი ქვემოთ, ზედა მარცხენა კუთხეში ბუნთან ქმნის მართკუთხედს, რომლის სიმაღლე უდრის ალმის მთლიანი სიმაღლის ნახევარს და ამ უკანასკნელის სიგანის ორ მეხუთედს.“ ნოტას თან ერთვის რესპუბლიკის დროშის ფერადი გრაფიკული ნიმუში (ფოტო N3). იმავე დღეს, საფრანგეთის სამინისტრომ ნოტით შეატყობინა საქართველოს დელეგაციას, რომ მან დაუყოვნებლივ გადაუგზავნა საფრანგეთის საზღვაო ხელისუფლებას საქართველოს ეროვნული დროშის მახასიათებლები და გასცა საჭირო მითითებები, რათა ქართულ გემებს მიეცეთ ნება, საფრანგეთის წყლებში მათი ეროვნული დროშის ქვეშ იცურონ.

ამგვარად, სავაჭრო გემების საკითხი აღარავითარ ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ ბუნებრივია, რომ საფრანგეთის საზღვაო სამინისტროს სამხედრო გემების საკითხი უფრო ანუხებდა. 25 იანვარს საზღვაო სამინისტროს ხელმძღვანელობა კვლავ შეეცადა დაეზუსტებინა თავის საგარეო უწყებასთან, როგორ უნდა ემოქმედათ საფრანგეთის საზღვაო ძალებს, გენერალ დენიკინისა და საქართველოს მთავრობის სამხედრო გემებს შორის შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში. 29 და 31 იანვრის წერილებში საგარეო უწყება საზღვაო სამინისტროს განუმარტავს, რომ მოკავშირე სახელმწიფო

ფონების მიერ de facto აღიარებულ მთავრობას ვერ დაუშლიან, რომ მისმა გემებმა მათი სპეციალური საზღვაო დროშის ქვეშ იცურონ; მაგრამ, რადგან როგორც გენერალ დენიკინის მთავრობა, ასევე საქართველოს მთავრობაც, აღიარებულია de facto, მოკავშირე ძალების მხრიდან არ არის საჭირო მათ უთანხმოებაში ჩარევა.



ფოტო N3

სიტუაციის გარკვევასთან ერთად, პარიზში საქართველოს დელეგაცია აფართოებს ქვეყნების წრეს და მათაც მიმართავს ანალოგიური ნოტით. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში ინახება ნოტის ასლი (N1425), რომელიც მიმართულია პარიზში დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფოს ელჩისადმი და დათარიღებულია 1920

წლის 31 იანვრით.¹³ და, რაც ყველაზე უცნაურია, ნ. ჩხეიძეს იდენტური ნოტა გაგზავნილი აქვს 1920 წლის 31 იანვარსვე, პარიზში არგენტინის რესპუბლიკის დიპლომატიური ნარმომადგენლის, სრულუფლებიანი მინისტრის სახელზე.¹⁴ ამ ნოტებში, ისევე, როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ ნოტაში, საქართველოს დროშის აღნერილობა შეესაბამება 1918 წლის 10 სექტემბრის კანონს, სადაც ნათქვამია, რომ „ორი ჰორიზონტალური ზოლი თანაბარი ზომისა, შავი ზევით, თეთრი ქვემოთ, ზედა მარცხენა კუთხეში ბუნთან ქმნის მართვულების, რომლის სიმაღლე უდრის აღმის მთლიანი სიმაღლის ნახევარს და ამ უკანასკნელის სიგანის ორ მეხუთედს.“

თვალშისაცემია, რომ ვლ. ახმეტელის მიერ ბერლინში არგენტინის დიპლომატიური ნარმომადგენლობისადმი გაგზავნილი დროშის აღნერილობისა და ნიმუშისგან განსხვავებით, პარიზში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის თავმჯდომარის, ნ. ჩხეიძის მიერ საფრანგეთის, ბრიტანეთისა და არგენტინის (და, სავარაუდოდ, სხვა ქვეყნების) დიპლომატიური უწყებებისთვის გაგზავნილ ნოტაში მოცემული აღნერილობა ზუსტად იმეორებს 1918 წლის 10 სექტემბერს მიღებული რესპუბლიკის დროშის შესახებ კანონის ტექსტს, ისევე როგორც საფრანგეთის დიპლომატიური არქივის საბუთებში დაცული ნოტაზე თანდართული დროშის ფერადი გრაფიკული გამოსახულება. აქედან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ ახმეტელის მიერ ბერლინიდან არგენტინაში გაგზავნილი საქართველოს დროშის აღნერილობა (1919 წლის 18 დეკემბერი) და ფერადი გრაფიკული ნიმუში (1920 წლის გვიანი გაზაფხული) არ ყოფილა შეცდომა, არამედ გააზრებული ქმედება და, სავარაუდოდ, სწორედ ამ პროპორციების დროშა იყო თავდაპირველად განსაზღვრული, როგორც საქართველოს საზღვაო დროშა. მაგრამ, მეორე მხრივ, შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და ხელსაყრელ გარემოში სწრაფად მოქმედების სურვილმა, აიძულა ქართული მხარე, ზედმეტი გაუგებრობებისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით, საქმე გაემარტივებინა და მოკავშირეთათვის საზღვაო დროშად ნარედგინა კანონით მიღებული და დამტკიცებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა.

13 ფონდი: 1864, ანან. 2, საქმ. 112, ფურც. 165.

14 სცაა, ფონდ. 1864, ანან. 2, საქმ. 339, ფურც. 1.

ჩემი აზრით, სწორედ ამით უნდა აიხსნას 1920 წლის იანვარში, მოკავშირე სახელმწიფოებისადმი გაგზავნილ ნოტებში მოცემული დროშის სრული დამთხვევა სახელმწიფო დროშასთან. ასეთია საქმის ვითარება ამ ეტაპზე და იმედია, მომავალი კვლევები კიდევ უფრო მეტ სინათლეს შეიტანენ საკითხში. მანამდე კი შეიძლება ითქვას, რომ არგენტინის დიპლომატიურ არქივში დაცული საქართველოს საზღვაო დროშის ნიმუში, უეჭველად უნიკუმია.

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი
ისტორიის დოქტორი
საგანგებო დაცვალებათა ელჩი,
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ოქროს საწმინდის ორდენის რაინდების მეხელენის პრეზა და მათი გერბები

1491 წლის 23 მაისს მეხელენის მთავარ მოედანზე რჩეული დიდგვაროვანი მხედრობის საზეიმო მსვლელობა შედგა, რომელიც შთამბეჭდავი აღმოჩნდა როგორც თვალისთვის, ისე ყურისთვის. მხედრობას მესაყვირეთა გუნდი აცილებდა. თითოეულ რაინდს შინდისფერი ხავერდის მოსასხამი ემოსა, კისერზე ძვირფასი ძე-ნკვი უბრნჷყინავდა, ხოლო მკერდს საწმინდის ფორმის ოქროს გულ-საკიდი უმშვერებდა. ასე მიემართებოდნენ წმინდა რომბოლდის ტაძრისკენ ოქროს საწმინდის რაინდები მათი ორდენის მეთხუთმეტე კაპიტულის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.

გადამცვეტი ნაბიჯი

ამ რაინდული ორდენის ისტორია სამოცი წლით ადრე დაიწყო ქალაქ ბრიუგში. 1430 წლის ზამთარში ბურგუნდის ჰერცოგი ფილიპე კეთილი დაქორნინდა პორტუგალიის მეფის ასულზე, იზაბელა პორტუგალიელზე. ჰერცოგისთვის ეს მესამე ქორნინება იყო, ნინა ორს არ მოჰყოლია მისი კანონიერი მემკვიდრის დაბადება. უსაზღვრო აღმოჩნდა ფილიპე კეთილის პატივმოყვარეობა: რადგან თავად გვირგვინოსნად არ დაბადებულა, ან უკვე გვირგვინოსანზე დაქორნინებით განდიდებულმა განიზრახა საკუთარი სამეფო მიზნების განხორციელება.

სამეფო ქორნინების შემდგომ ფილიპე ლამაზმა ახალი რაინდული ორდენის - “ოქროს საწმინდის ორდენის” დაარსება გამოაცხადა. მანამდე სხვა მონარქებს, ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებს, უკვე დაარსებული ჰერნდათ მსგავსი რაინდული ორდენები (შესაბამისად - “ბუნიკისა” და “ვარსკვლავის”). “ოქროს საწმინდის ორდენის” დაარსებას წინ არ უძლოდა ხანგრძლივი სამზადისი და საიდუმლო მოლაპარაკებები, როგორც ამას ზოგი თანამედროვე მკვლევარი მიიჩნევს. სინამდვილეში ეს იყო ამბიციური მმართველის სწრაფი და თამამი ნაბიჯი, რითაც ჰერცოგმა მანამდელ წარმატებებსა და მიღწევებს “ოქროს საწმინდის” დამაარსებლისა და მმართველის მნიშვნელოვანი ტიტულიც მიუმატა, ხოლო თავის შთამომავლობას კი ეს წოდება სამუდამოდ დაუმკეიდრა. ჰირველი წესი, რაც ფილიპე ლამაზმა დაადგინა, იყო შემდეგი: “ამა ბრძანებით, ჩვენ და მემკვიდრენი ჩვენი, ჰერცოგნი ბურგუნდი-



ალბრეხტ დე ვრიენტი, ოქროს საწმისის პირველი კაპიტული,
დაცლოვანი, 1893-1900 წ.

ანტვარენი, სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

ისა ანუ გრაფი ფლანდრიისა, ვიქებით მუდამჟამ ამ ორდენის
წინამძღოლნი, უფალნი და მმართველნი.”

ფილიპე ლამაზს მრავალი მოტივი ჰქონდა რაინდული ორდე-
ნის დაარსებისთვის - რელიგიურიც და პოლიტიკურიც. როგორც
ბურგუნდიის ჰერცოგი, იგი მუდამ ძლიერ ღვთისმოსავად წარ-
მოაჩენდა თავს, რომლის ქმედებებს რწმენა და რაინდული იდე-
ალები წარმართავდა. მან რაინდულ ორდენს კათოლიკური სარწ-
მუნოების დაცვის ტვირთი დააკისრა, რაც უპირველეს ყოვლისა,
ორდენის ჯვაროსნული ლაშქრობისა და წმინდა მიწის დაუ-
ფლების განზრახვაში გამოვლინდა. აღმოსავლეთის დალაშქრის
სურვილი ფილიპე კეთილის სიყმანვილის დროინდელი ტრავმი-
დან მომდინარეობდა. იმ დროს მამა, უან უშიშარი, ჯვაროსნული
ლაშქრობის ხელმძღვანელობისას დაატყვევეს და მხოლოდ უხვი
გამოსასყიდის ფასად შესძლეს მისი გამოხსნა. ეს სამწუხარო ამ-
ბავი ფილიპე ლამაზს თავისი ძლევამოსილი დინასტიის პატივისა
და ლირსების შემლახავ ლაქად მიაჩნდა. ხელახალი ჯვაროსნული
ლაშქრობა, ბურგუნდიელის ოჯახის წარმატებით დასრულებული,
იქნებოდა არა მხოლოდ წარსულში შებლალული ლირსების აღდ-

გენა, არამედ სამომავლოდაც გააძლიერებდა ჰერცოგთა საგვარეულოს პოზიციებს.

“ოქროს საწმისის ორდენის” დაარსებისთანავე, ფილიპე ლამაზმა საკუთარი თავი მმართველად, ხოლო ოცდაოთხი რაინდი ორდენის წევრად განაწესა. სამი წლის შემდეგ მან კიდევ ექვსი რაინდით გაზარდა ორდენის წევრთა რიცხვი, რითაც მთლიანობაში, 1433 წლისთვის, რაინდთა რაოდენობა ოცდათერთმეტი გახადა. ჰერცოგის მიერ რაინდთა შერჩევის პროცესში ორდენის შექმნის მეორე მოტივი - პოლიტიკური ერთობა გამოკვეთა. ის, რასაც ასე მოისაკლისებდა ჰერცოგი თავის ვრცელ სამფლობელოში, სწორედ ერთიანობა იყო.

მას დაქვემდებარებულ მამულთა მაცხოვრებლებს თითქმის არაფერი ჰქონდათ საერთო, გარდა ქრისტიანული სარწმუნოებისა და მმართველისა. ისინი საუბრობდნენ სხვადასხვა ენაზე, ავლენდნენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ თუ კულტურულ მრავალფეროვნებას და ქიშპობდნენ კიდეც ერთმანეთთან. ამ მიწათა დიდგვაროვნების გაერთიანება ერთ რაინდულ ორდენში არა მხოლოდ ჰერცოგის მიმართ უპირობო ერთგულებას უზრუნველყოფდა, არამედ წევრებს შორის თანადგომასაც აძლიერებდა.

მომძროვილი ბრძოლინვალება

ურთიერთ ერთგულება და ერთობა დამატებითაა სიმბოლიზებული გარეგან ემბლემაში, შესანიშნავ ასხმულობაში - ჯაჭვში, რომელსაც ამაყად უნდა ატარებდეს რაინდთა ორდენის ყველა წევრი. მსგავსი სამკაული არაა უცხო ატრიბუტი სხვა დინასტიური რაინდული ორდენებისთვის, მაგრამ ფილიპე ლამაზზე უკეთ არავინ იცოდა იმიჯისა და რეპრეზენტატელურობის ფასი. ამ ჯაჭვის დიზაინში უცვად იკითხება მინიშნებები ბურგუნდიის ჰერცოგსა და რაინდულ ორდენზე. ჯაჭვის რგოლები ორი განმეორებადი ელემენტის წყვილია: ერთი - კაჟია, ქვა, რომელიც ფოლადთან შეხებისას ნაპერნკლებს აფრქვევს და მეორე, თავად ნაწრთობი ფოლადი, რომელიც ამ კაჟს აკვესებს. 1419 წელს ფილიპე ლამაზმა ეს სიმბოლოები საგვარეულო გერბში გამოსახა და ამგვარად შეამკო საკუთარი დევიზი: “უპირველესად დაჰკარი და ალი შემდგომ აკიაფდება”. ოქროს საწმისის თითოეული რაინდი ნაწრმოდგენილია ნაწრთობი ფოლადის სათითაო რგოლით, ხოლო ორდენის მთავარი კი - ორით. დიზაინის არსი იმაშია, რომ



უცნები ავტორი,

ოძროს სახლისის ორდენის რაინდის ყალსაჩამი, 1430-1500 წწ.,
ვენა, ხელოვნების ისტორიის მუზეუმი (საიმპერიო საგანძუროს საცავი).

ცალკეული ელემენტები მხოლოდ მაშინ ქმნის ერთობას, როცა ურთიერთშეჭიდულია, რაც, თავის მხრივ, ორდენის წევრებს შორის თანასწორობისა და ძმობის აღიარებული იდეალების გამოხატულებაცაა.

ამასთან, ორდენის ჭეშმარიტი სიმბოლო ვერძის ოქროს საწმისია, რომელიც ბუნიკის სახით ამშვენებს ამ შთამბეჭდავ ჯაჭვს. ყმანვილობისას ფილიპე ლამაზს განსაკუთრებით იტაცებდა ისტორიები ძველბერძნული მითოლოგიის გმირის, იასონის შესახებ, რომელიც თავგადასავლის მაძებარ მოლაშქრეებს - არგონავტებს წარუდღვა კოლხთა იდუმალ ქვეყანაში ოქროს საწმისის, ოქროს ვერძის ტყავის დასაუფლებლად. მეომრული სულის მატარებელი იასონისა და არგონავტების საგმირო საქმენი, ფილიპე ლამაზის აზრით, სრულად შეესაბამებოდა მის და რაინდთა ორდენის იდეალებს. ამიტომ აირჩია ოქროს საწმისი საკუთარი ორდენის სიმბოლოდ.

თუმცა, რთული იყო ორდენის ქრისტიანული რწმენის შეჯერება ძველ-ბერძენი, წარმართი იასონის ისტორიასთან. ამიტომ ორდენის წევრებმა მალევე დაინტერეს იასონის საწმისის ქრისტიანული ახსნა-განმარტების ძებნა და საბოლოოდ მიაგნეს კიდეც მას გედეონის სახით, რომელმაც, ძველი აღთქმის თანახმად, ვერძის მატყლის მეშვეობით მიიღო ნიშანი ღვთისგან.

ორდენის კანცლერმა გიორგი ფილასტრემ გადაწყვიტა, ოქროს საწმისის ახსნა ექვსნაწილიან წიგნში გადმოეცა, სადაც თითო ნაწილი მიეძღვნებოდა ექვსიდან ერთ „საწმისს“, მათ შორის, ერთი - ოქროს საწმისს ბერძნული მითოლოგიდან (იასონი და არგონავტები), ხოლო ხუთი - ძველი აღთქმიდან (მსაჯულები 6:34-38; დაბადება 30:32; 2 მეფეები 3:4; იობი 31:20; ფსალმუნნი 72:6). მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ფილასტრემ მხოლოდ სამი ნაწილი დაასრულა, მისი ძალისხმევა გვიჩვენებს, თუ როგორ ეძიებდნენ ორდენის წევრები წარმოშობის მითს, რათა გაემართლებინათ ორდენის ძირითადი ღირებულებები, იდეალები და, შესაბამისად, ბურგუნდიის სახლის ძლევამოსილება.

შთამბეჭდავი სანახაობა

ოქროს საწმისის ორდენში, გარდა რაინდებისა, ინიშნება ოთხი ოფიცერი, მათგან თითოეული - განსაკუთრებული როლით: ხაზინადარი ("trésorier"), ჰეროლდმაისტერი ("roi d'armes"), კან-



კონდაკის მსახური პოლ გეი, გედეონითა და იასონით გარშემოყმაული
ფილიპე კატოლიკი - გერბი და დავიზი ილუსტრაცია ნიგენიან
„ქალთა მორის ჩემაიონი“, ms. fr. 12476 (ფურცელი 1v)
1451 წ., პარიზი, საფრანგეთის სახელმწიფო პირაკომითება.

ცლერი (“chancelier”) და მდივანი (“greffier”). კანცლერის თანამდებობა ყველაზე გამორჩეულია, რომელიც იმავდროულად ორდენის ბეჭდის მპყრობელიცაა, რაც სიმბოლური მნიშვნელობის მიღმა გულისხმობს მის უფლებასაც, იურიდიული ძალა მიანიჭოს ორდენის დოკუმენტებს. მიუხედავად იმისა, რომ კანცლერი მოქმედებდა მხოლოდ ჰერცოგის, ანუ ორდენის მმართველის მითითებით, ბეჭდის პყრობა მას მაინც ანიჭებდა სიმბოლურ ძალაუფლებას ოქროს საწმისის ორდენზე. შესაბამისად, კანცლერი რაინდთა კრებების თავმჯდომარეცაა და ამ შეკრებათა რელიგიური ცერემონიების დროსაც ქადაგებს.

ხაზინადარი განკარგავს ორდენის ძვირფასეულობასა და არქივს, ხოლო მდივანი აწარმოებს ოქმებსა და აღწერს რაინდთა მოღვაწეობას. ჰერცოლდმაისტერი პასუხისმგებელია პროტოკოლზე და ხშირად მოქმედებს, როგორც შიკრიკი. ყველა როლი და წესი საგულდაგულოდაა აღწერილი 94 თავში, რომელიც ერთობლივად ქმნიან ოქროს საწმისის ორდენის წესდებასა და დებულებებს. ეს წესდება, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს რაინდების ყოველ-ნლიურ შეკრებას, რაც ცნობილია, როგორც კაპიტული (“chapitre”).

თუმცა, მალევე იჩინა თავი ყოველწლიური შეკრებების სირთულემ. მოგვიანებით ფილიპ ლამაზმა გადაწყვიტა კრებათა სიხშირის შემცირება და მათი გამართვა სამ წელში ერთხელ. რაინდული ორდენის მეთაურთა შეხვედრები, კაპიტულები, გრანდიოზულ საზეიმო დღესასწაულებს წარმოადგენს, რაც ყოველთვის ტარდება ეკლესიაში ან საკათედრო ტაძარში ბურგუნდის ტერიტორიაზე. ამ შემთხვევებისათვის ეკლესია ან ტაძარი მდიდრულად არის მორთული სპეციალურად შექმნილი გერბებით, საკურთხევლის შესამოსლით, საოქრომჭედლო ნამუშევრებითა და გობელენებით.

კაპიტული შედგება მფარველ წმინდანთა და გარდაცვლილ რაინდთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სხვადასხვა რელიგიური ცერემონიისაგან. თუმცა, შეკრებები არაა მხოლოდ საღვთო ხასიათის, მასზე დაშვებულია ორდენის წევრთა შორის ცხარე დავებიც. თითოეული ამ აქტივობისთვის რაინდები საგანგებოდ, განსხვავებულად იმოსებიან. მაგალითად, გარდაცვლილი რაინდისადმი აღვლენილი მემორიალური წირვის დროს ორდენოსნები თავი-ანთ ჩვეულ შინდისფერ ხავერდოვან სამოსს შავი სამგლოვიარო ტანსაცმლით ანაცვლებენ. თუმცა, ოქროს საწმისის ორდენის



უცხოგი ავტორი,
ფილიპე კათილი ნიຕელი ხავერდის სამოსით, 1460-1480 წწ.,
ამსტერდამი, ხელოვნების მუზეუმი

ძვირფასი ჯაჭვი მათ კისერს ყოველთვის ამშვენებს.

შუა საუკუნეების “ოქროს საწმისის” რაინდები სარგებლობდნენ იმუნიტეტით და მხოლოდ კაპიტულის შეხვედრებისას შეიძლებოდა დაჰკისრებოდათ პასუხისმგებლობა არასათანადო ქცევის გამო - მაგალითად, როგორიცაა: ხშირი ქორწინებისგარეშე კავშირები, აზარტული თამაშები ან მემთვრალეობა. მსგავსი გადაცდომების წინააღმდეგ შემოიღეს მკაცრი წესები - დამრღვევი ისჯებოდა გაფრთხილებით ან ჯარიმით, ხოლო შემოსავალი კი ხმარდებო-



ფლორიან აპელი (სავარაუდოდ)

მაქსიმილიან ავსტრიელისა და მარიამ ბურგუნდიის ეროვნება,
1561-1565 წწ., პრიუსელი, გელგის სამეცო პიბლიოთიკა.

და რელიგიურ დღესასწაულებსა და ქველმოქმედებას ღარიბებისა თუ ავადმყოფების სასარგებლოდ. მათ, ვინც მხილებულნი იყვნენ ისეთ სერიოზულ დანაშაულში, როგორიცაა სუვერენის ღალატი, ორდენიდან სრული გაძევების საფრთხე ემუქრებოდათ. შეხვედრებზე ასევე განიხილებოდა ახალი წევრების შერჩევა გარდაცვლილი ან გაძევებული რაინდების სანაცვლოდ. ჩვეულებრივ, კაპიტულის კრებისას რაინდებისთვის და მათი თანმხლები პირებისათვის ბურგუნდიის კარზე იმართებოდა მდიდრული ნადიმები

ზამი განსაცდელისა

გადავინაცვლოთ 1477 წელს, როცა ცხრამეტი წლის მარიამ ბურგუნდიელი, ბურგუნდიის ჰერცოგების უკანასკნელი მემკვიდრე, იძულებული გახდა, ეტვირთა სამეფოს მმართველობა. მარიამის მამა, ჩარლზ ქველი, მოულოდნელად დაიღუპა ნენსთან ბრძოლაში. ჰერცოგის უცაბედმა გარდაცვალებამ ბურგუნდიის სამეფოში ღრმა კრიზისი გამოიწვია. საზღვრებთან უწყვეტი

ბრძოლები მიმდინარეობდა ბურგუნდიის სამეფო სახლსა და საფრანგეთის სამეფო გვირგვინს შორის. ამას დაემატა შიდა უკმაყოფილება ბურგუნდიის სამეფოში ომებით გამოწვეული გაზრდილი ხარჯებისა და ამის შედეგად მოსახლეობისათვის მომატებული საგადასახადო ტვირთის გამო. ეს ცვლილება გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ბურგუნდიულ-ჰაბსბურგის ნიდერლანდებზე, არა-მედ ოქროს საწმისის ორდენზეც.

წესდების თანახმად, მაქსიმილიანი მარიამთან განქორწინების შემდეგ აღარ იყო დანიშნული სუვერენი. ორდენის ახალი მმართველი უნდა ყოფილიყო ფილიპე კეთილის შთამომავალი, რომელ-საც ბურგუნდიული სისხლი ჰქონდა. იმ დროისთვის რაინდთა ორდენის ახალი მმართველობისთვის ერთადერთი შესაფერისი კანდიდატი - ფილიპე ლამაზი, სულ რაღაც ოთხი წლის იყო. ეს პატარა ბავშვი უნებურად გახდა გადამწყვეტი ფიგურა ყოფილ ბურგუნდიულ სამეფოში ძალაუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლაში.

მაშინ, როცა მარიამ ბურგუნდიელს თავისი იმპერიის კრიზისის პიკზე ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველებისათვის მეტი ავტონომიის მინიჭება სჭირდებოდა, მისი სიკვდილის შემდეგ, მაქსიმილიან ავსტრიელი ადგილებზე ძალაუფლების შემცირებას ცდილობდა, რაც მის ექსპანსიონისტურ პოლიტიკასა და ომის დღის ნესრიგს ემსახურებოდა. ამან გამოიწვია ბურგუნდიულ ნიდერლანდებში მაქსიმილიანის ხელისუფლების დასუსტება, რასაც საბოლოოდ ორი ფლანდრიული აჯანყება (1483-1485 და 1487-1492 წნ.) მოჰყავა. ამ მლელვარე დროში იქროს საწმისის ორდენი გახდა მნიშვნელოვანი დიპლომატიური ინსტრუმენტი დიდგვაროვნებისა და ჰერცოგის ხელში, რათა სათუო გაეხადათ ბურგუნდიულ-ჰაბსბურგთა სამეფოს ძალაუფლება და განემტკიცებინათ ორდენის ერთიანობა.

ბურგუნდიული სამეფოს შესანარჩუნებლად, მარიამი სწრაფად დაჰყვა ადგილობრივ ხელისუფლებს სხვადასხვა დათმობაზე, შვიდი თვის შემდეგ დაქორწინდა ავსტრიის ერცჰერცოგ მაქსიმილიანზე, იმპერატორის ახალგაზრდა და ამბიციურ ვაჟზე - ჰაბსბურგების სახლიდან. მათი ქორწინების შემდეგ სიტუაცია თითქოს დამშვიდდა. მაქსიმილიანს და მარიამს ორი მემკვიდრე ჰყავდათ: ფილიპე ლამაზი და მარგარიტა ავსტრიელი. სამწუხაროდ, ამჯერად მშვიდობა მხოლოდ მცირე ხნით

დაუბრუნდა ბურგუნდიულ-ჰაბსბურგის სამეფოს. 1482 წელს ბურგუნდიული-ჰაბსბურგის სამეფო კიდევ ერთხელ აღმოჩნდა გაურკვევლობისა და არეულობის ზღვარზე, როდესაც მარიამი შევარედნით ნადირობისას საპედისნეროდ დამარცხდა და მოგვიანებით გარდაიცვალა კიდეც.

ფარის მხატვრები

ამგვარ პოლიტიკურ ვითარებაში, 1491 წელს, კაპიტულის დღე-სასწაულში მონანილეობის მისაღებად რაინდები კვლავ მეხელენში შეიკრიბნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეთხუთმეტე კაპიტულის რამდენიმე მცდელობა 1484 და 1486 წლებშიც იყო, მხოლოდ 1490 წლის ზაფხულში დაიწყო მზადება მომდევნო ოფიციალური შეხვედრისათვის. ამ დროს უკვე ათი წელი იყო გასული ჰერტოგენბოსის ბოლო კაპიტულიდან და რაინდების თითქმის მესამედი გარდაცვლილი იყო. თოთხმეტი ადგილი დარჩა თავისუფალი. ავსტრიელი მაქსიმილიანისათვის ეს დამატებითი მოტივაცია იყო შეკრების ორგანიზებისათვის. ვინაიდან ორდენის წევრები იმუნიტეტით სარგებლობდნენ, მან გადაწყვიტა, რაინდები ისევ შეეკრიბა, რათა დაეგმო ყველა ის წევრი, ვინც ბოლო წლებში მის წინააღმდეგ აჯანყდა. ამ გზით იგი გაიჩინდა ახალ, საიმედო მოკავშირეებს. ნამიურისა და ბრიუსელის განხილვის შეძლებ, საბოლოოდ გადაწყდა, რომ რაინდები 22 მაისს მეხელენში შეიკრიბებოდნენ.

როგორც ჩვეული წესია, მთელი ეკლესია მორთული იყო ორდენის შეხვედრისათვის. ცერემონიის დიზაინის ძირითადი ნაწილი არის ქორო და ქოროსათვის განკუთვნილი ადგილი. კაპიტულის დღესასწაულის შემდეგ დეკორაციების უმეტესობა ტოვებს ეკლესიას და მომავალ შეხვედრამდე ინახება. თუმცა, ჰერალდიკური დაფების სერია, სადაც ოქროს საწმისის რაინდების გერბები და ტიტულებია გამოსახული, თითოეული შეხვედრისათვის არის მოხატული. ცალკეული დაფა მიჰყვება კომპლექტურ დიზაინს: ცენტრში განლაგებულია რაინდის გერბი, რომელიც გარშემორტყმულია შავ ფონზე ოქროს საწმისის გულსაკიდიანი ცნობილი ჯაჭვით. გერბის ზემოთ არის ჩაფხუტი ფიგურით (Helmet with a crest), რომელიც შემოსილია ელეგანტური მოსასხამით. თუ რაინდი ორ კაპიტულს შორის გარდაიცვლება, მის ჩაფხუტსა და ფიგურას (Crest) იღებენ კომპოზიციიდან და ანაცვლებენ



უცნობი სამსატვრო სკოლა, ადოლფ კლევის გერბი, რავენშტაინის
მარკანებელი, 1491 წ., მასელი, მინდა რუპრეტის ფასარი.

ლენტით, რომელსაც უჭირავს გერბი. ფარის ირგვლივ რაინდის სახელი და წოდება ოქროსფერი კალიგრაფიით არის დაწერილი.

ბურგუნდიის ჰერცოგების დროს სასახლის სპეციალიზებულ მხატვრებს ევალებოდათ სხვადასხვა საგნის თრნამენტებით მოხატვა. ვიზუალური ხელოვნება გადამწყვეტ საჯარო იარაღს წარმოადგენდა ბურგუნდიის ჰერცოგებისათვის. ზედმინევნით შემუშავებული დეკორატიული პროგრამებით ისინი შთაბეჭდილებას ახდენდნენ როგორც თავიანთ ხალხზე, ასევე სხვა ძლიერ ფიგურებზე. გერბი კი ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მათი სახლის, საგვარეულოსა და ავტორიტეტის ამ სიმბოლოს დიდი ოსტატობით გამოსახავდნენ სასახლის მხატვრები, რომლებიც ამაყად ატარებდნენ ტიტულს „Scilder“ (მხატვარი). მაშასადამე შემთხვევითი არ არის, რომ სიტყვა მხატვარი (Scilder) წარმოიშვა ჰოლანდიური სიტყვიდან „Scild“ ანუ - ფარი.

ფირჩიში (NAMEPLATE) და მეომრიალი

ჰერალდიკური ფარები მრავალ ფუნქციას ასრულებს როგორც კაპიტულის დროს, ასევე მას შემდეგაც. თავდაპირველად ისინი ეკლესიისა ან კათედრალის ქოროში სიმაღლეზე ჰკიდია, შეკრებისას თითოეული რაინდისათვის განსაზღვრული ადგილის მისათითებლად. ორდენის წესდება დაწვრილებით აღწერს მკაცრ შინაგანაწესს, რომელიც აწესრიგებს ადგილების განლაგებას. ორდენის სუვერენი ზის მარჯვენა მხარეს, საკურთხევლისაკენ, ხოლო სხვა რაინდები ერთმანეთის საპირისპიროდ სხედან, მგალობელთა გუნდისათვის განკუთვნილ ორ რიგში. ორდენის წევრის სიკვდილის შემთხვევაში, შემდეგი კაპიტულის დროს ინიშნება ახალი რაინდი. გარდაცვლილი რაინდის ფარი კი ამოღებულია ადგილთა განაწილების გეგმიდან. დარჩენილი წევრები განლაგდებან უკანა სივრცეში, ხელმისაწვდომ სკამებზე, რომელიც განკუთვნილია ახლად დანიშნული რაინდებისათვის. თუ ახალი წევრი მეფე ან ჰერცოგია, მისი ფარი განთავსდება იმ პრინცების ან მმართველების ფარებს უკან, რომლებიც მანამდე მიიღეს ორდენში. სკამების განლაგებიდან გამომდინარე, შეუძლებელია გუნდის მარჯვნიდან მარცხნივ ან პირიქით გადაადგილება. ეს განლაგება გადამწყვეტია გერბების დიზაინისათვის, რადგან ნახატში რამდენიმე ელემენტი ამ კონკრეტულ პოზიციას ასახავს. ოქროს საწმისის გულსაკიდი და ჩაფხუტი ყოველთვის საკურთხევლისკენ უნდა იყოს



უცხოგი სამხატვო სკოლა, ინგლისის მეფე ედუარდ IV-ის გერბი, 1491 წ.,
ენელი, ნინი რუპრეტის ასკარი



უცნობი ავტორი,

კაპიტულის სხდომის მემორიალური აანელი, 1491 წლის კრება.

მე-17 ან მე-18 საუკუნე. მაზელენი, ცხირების რუსთანის ტაძარი.

მიმართული. შესაბამისად, ქოროში ეს ორი ატრიბუტი მარცხნივ ან მარჯვნივ უნდა იყოს განლაგებული.

მეთხუთმეტე კაპიტულის რთული პოლიტიკური კონტექსტი შეხვედრის დროს გამოყენებულ ჰერალდიკურ ფარებშიც აისახა. შეკრების დაწყებამდე გაიმართა ცხარე დებატები მაქსიმილიანის პოზიციაზე ორდენთან მიმართებაში. მარიამ ბურგუნდიელის გარდაცვალების შემდეგ მაქსიმილიანს აღარ ეკავა ორდენის სუვერენის თანამდებობა. შეთანხმების მიხედვით, ის გახდა Père et chef (მამა და უფროსი), ხოლო მის შვილს კი ორდენის Fils chef et souverain (უფროსისა და სუვერენის შვილი) დაარქვეს. ეს ურთიერთობა აისახა სუვერენის სავარძლის ზემოთ გამოსახულ ჰერალდიკურ ფარზეც. მეხელენის შეკრებაზე სუვერენის ადგილთან არა ერთი, არამედ ორი ჰერალდიკური ფარი იყო გამოფენილი: პირველი - მაქსიმილიანის გერბით, ხოლო მეორე - ფილიპესი, რომელიც ქმნიდა ორმაგ პორტრეტს. სამნუხაროდ, უამთასვლის გამო, ფარების დიდი ნაწილი დაკარგულია. მაქსიმილიანის გერბიანმა მეცხრამეტე საუკუნის ვერსიამ ორიგინალი - „ორმაგი პორტრეტი“ ჩანაცვლა. ფილიპე ლამაზის დაკარგული გერბის გარდა იყო მეორე ნახატი, მისი, როგორც „შაროლეს გრაფის“

გერბით. აღნიშნული ტიტული ბურგუნდიელმა ჰერცოგებმა მიანიჭეს თავიანთ მემკვიდრეებს. ეს ნახატი მეხელენში დღემდე არის შემორჩენილი.

პრაქტიკული ფუნქციების გარდა, ამ ნახატებს მნიშვნელოვანი მემორიალური ღირებულება გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, ჰერალდიკური დაფა გულისხმობს რაინდის შეხვედრაზე ყოფნას, თუნდაც ის ფიზიკურად იქ არ იმყოფებოდეს. ეს განსაკუთრებით თალშისაცემი გახდა მეხელენის კაპიტულზე, რასაც რეალურად მხოლოდ შვიდი რაინდი ესწრებოდა. ყველა სხვა რაინდი გარდაცვლილი იყო ან დასწრება ვერ შეძლეს. ამასთანავე, სერიის მემორიალური ღირებულება გარკვეულ როლს თამაშობს კონკრეტული რაინდის საჯაროდ გამორჩევაში, რაც ორი გზით ხდება: ან - რაინდის ფარის შეცვლით, ან - სრულიად ამოღებით. ასეთ გამოაშკარავებაზე მიუთითებს მეხელენის სერიის შავი ტექსტური დაფები, სადაც ოქროს ასოებით არის დაწერილი მეამბოხე რაინდების დაგმობა. მას შემდეგ, რაც რაინდი ორდენიდან გაირიცხება, გუნდში მათივე ფარების ჩასანაცვლებად იქმნება მსგავსი დაფები. თავდაპირველად, მეხელენში სამი ასეთი დაფა უნდა ყოფილიყო. პირველი - იაკობ სავოი, რომელიც სიკვდილის მიუხედავად ღალატის გამო დაგმეს; მეორე - ფილიპ პოტი, რომელიც წინა კაპიტულის დროს, 1481 წელს, უკვე გარიცხული იყო, მაგრამ კვლავ დაგმეს ჯაჭვის დაბრუნებასთან დაკავშირებით ცრუ ჩვენების გამო; მესამე - ფილიპ დე კრევეკური, რომელიც ასევე 1481 წელს გააძევეს, თუმცა მისი დაფა დროთა განმავლობაში დაიკარგა.

ჰერალდიკური დაფების ჩანაცვლების გარდა, წინა სერიების ზოგიერთი დაფა ამოღებულია, როდესაც რაინდი ორდენიდან არის გარიცხული. მაგალითად, ვოლფერტ VI ვან ბორსელენის გერბი აღარ მოიძებნება მეხელენში. მისი ფარი ამოღებულია ქოროდან 1500 წელს, მას შემდეგ, რაც იგი ფლამანდური აჯანყების მხარდაჭერისათვის დაგმეს.

დროში მოგზაურობა

მომდევნო პერიოდში თანდათან ქრებოდა ამ დაფების თავდაპირველი სიმბოლური დანიშნულება. მეხელენის ჰერალდიკური სერიაც დღეს ძირითადად განიხილება, როგორც ეკლესიის დეკორატიული ელემენტი. ტაძრის არქივების მიხედვით, ეს გერბე-

ბი საგულდაგულოდ განახლდა და აღდგა 1680 და 1775 წლებში, ნაგებობის ინტერიერის რესტავრაციისას, წმინდა რუმბოლდის, ეკლესიის მფარველი წმინდანის, პატივსაცემად.

საიდუმლოდ რჩება, რა დაემართა მექელენის სერიას საფრანგეთის რევოლუციის მძელვარე პერიოდში. იმ დროს, სიმბოლოები თუ გამოსახულებები, რომლებიც სოციალური იერარქიისა და მონარქიის აბსოლუტურ ძალაუფლებაზე მიუთითებდა, ხშირად იშლებოდა ან ნადგურდებოდა. თუმცა, როგორც ჩანს, მეხელენური ჰერალდიკური დაფები ამ მძელვარე პერიოდში ჯერ კიდევ ეკიდა ეკლესიაში. 1810 წელს საკათედრო ტაძრის ინვენტარიზაციის დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ნახატები ამოიღეს გოთური გუნდისათვის განკუთვნილი ადგილის დემონტაჟის გამო.

ოცდაექვსი წლის შემდეგ, 1836 წელს, ოცდაათი წლის გრაფმა ამედე დე ბოფორტმა შესანიშნავი აღმოჩენა გააკეთა წმინდა რუმბოლდის ტაძრის სხვენში. მან, როგორც ახლადშექმნილი ძეგლებისა და პერიაუქის სამეფო კომისიის ხელმძღვანელმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით იმოგზაურა საჯარო შენობებში დაცული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით. საკათედრო ტაძრის მაღალი იერარქისადმი მიწერილ წერილში მისი მდივანი წერდა: „ჩვენ სწრაფად გადავხედეთ წმინდა რუმბოლდის სხვენს, რომ თვალი გავუსწოროთ შუა საუკუნეების ამ რელიქვიებს. ბატონი დე ბოფორტი გრძნობს, რომ ეს ძველი ნივთები გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ჰერალდიკური დაფები მნიშვნელოვნად გაცვდა, მაინც გვაძლევს ძვირფას ისტორიულ ცნობებს ძველი რაინდული ორდენის შესახებ, რომელმაც ჩვენი ქვეყანა დიდებულად აქცია“.

ბელგიის საისტორიო ძიების ფარგლებში, დე ბოფორტმა ჰერალდიკური დაფების მთელი სერიის საკუთარი ხარჯებით აღდგენის ინიციატივა გამოიჩინა. სანაცვლოდ, მან შესთავაზა ფრანკ ვან ჰალენისა და მარია ვან გისტელესის საფლავის ნაშთები, რომელიც მისი მეთვალყურეობით აღმოაჩინეს ტაძრის სხვენში. 1838 წელს დაფები საკათედრო ტაძარში დაბრუნდა და ამით ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა. თუმცა, წმინდა რუმბოლდის ტაძრის სასულიერო პირებისა და დე ბოფორტის მიმოწერამ გამოავლინა რამდენიმე დაკარგული დაფის რეკონსტრუქციის საჭიროებაც, რაც ხაზს უსვამს მეხელენის ამ შესანიშნავი ჰერალდიკური სერიის ერთობლიობის მნიშვნელობას და უნიკალურს ხდის მას.

შესრულებული 23 კაპიტულიდან დღეს მხოლოდ შვიდი სერიაა შემორჩენილი. აქედან ორი მდებარეობს გენტში, წმინდა ბავოს ტაძარში (პირველი - 1445, მეორე - 1559 წლიდან), ბრიუგეში განთავსებულია ორი შთამბეჭდავი სერია: ერთი ლვის მშობლის ეკლესიაში (Church of Our Lady) - 1468 წლიდან და მეორე წმინდა სალვატორის საკათედრო ტაძარში (1478 წლიდან). გარდა ამისა, ბარსელონას წმიდა ჯვრისა და წმინდა ევლალის საკათედრო ტაძარში 1519 წლიდან ინახება სპეციალური სერია. და ბოლოს, ჰავაგის დიდ ეკლესიაში განთავსებულია 1545-1546 წლების სერია, რომელიც ასახავს 1456 წლის შეხვედრას.

დღეს მეხელენის კოლექცია მოიცავს 29 გერბს, ერთ მემორიალურ დაფას და ორ ეპიგრაფიკულ წარწერას. სავარაუდოდ, მეჩვიდმეტე ან მეთვრამეტე საუკუნეების ერთ-ერთი ყოვლისმომცველი განახლების დროს სერიას დაემატა ერთგვარი სამახსოვრო დაფაც. მისი წარწერა ნათელს ჰავენის მეხელენის საკათედრო ტაძარში ჰერალდიკური დაფების არსებობას. 1491 წლის 24 მაისს ფილიპე ლამაზის თავმჯდომარეობით აქ ოქროს საწმისის ორდენის რაინდები შეიკრიბნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ადგილი იყო ოქროს საწმისის ორდენის რაინდოთა შეხვედრების ადგილი.

ჰანა იტერპეკი
“ჰოფ ვან ბუსლეიდენის”
მუზეუმის დირექტორი

სტატია გამოსაქვეყნებლად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, რადგან მასში განხილული „ოქროს საწმისის“ ორდენი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ჰერალდიკამ საფუძველი ჩაუყაროს ლირებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებასა და მემკვიდრეობითობას.

„ოქროს საწმისი“ დაკავშირებულია საქართველოსთან და მისი სიმბოლიკა თანაზიარია ევროპული ცივილიზაციის უხსოვარი დროიდან. როგორც სტატიაშია აღნიერილი, ორდენმა ახალი

მნიშვნელობა შეიძინა შუა საუკუნეებში და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე საპატიო სიმბოლოდ იქცა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ „ოქროს საწმისის“ ორდენი ქართული დაჯილდოების სისტემის უმაღლეს ორდენთა რანგს განეკუთვნება და ქვეყნის წინაშე უდიდესი ღვანლის მქონე უცხოელებს გადაეცემათ.

ცხადია, ამან განაპირობა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ინტერესი „ოქროს საწმისის“ სიმბოლოს მიმართ და საბჭოს დელეგაცია 2024 წლის 15-19 მაისს დაესწრო ბელგიის სამეფო კარის ეგიდით, ფლანდრიული ჰერალდიკური საბჭოს და ფრანგულენოვანი საზოგადოების გენერალოგიური და ჰერალდიკური სამსახურის ორგანიზებით გამართულ გამოფენას „ოქროს საწმისის რაინდები. ბრნისინვალე მითის ახსნა;“ სადაც წარმოდგენილი იყო სტატიაში აღნერილი 29 სარაინდო გერბი.

გამოფენის დასრულების შემდეგ ქ. მეხელენის „ჰერალდიკურის მუზეუმის დირექტორმა და გამოფენის მთავარმა კურატორმა, ქ-ნ-მა ჰანა იტერბეკემ თავად გადმოგვცა მასალა შემდგომი პუბლიკაციისთვის.

შემთხვევითი არ იყო, რომ გამოფენა, და მისი გზამკვლევი მიეძღვნა ევროპის საბჭოს ბელგიის პრეზიდენტობას, რომელიც ასევე არის ლირებულებებზე დაფუძნებული გაერთიანება, ლირებულებებზე, რომელსაც „ოქროს საწმისის“ მსგავსად საქართველოსთან მრავალსაუკუნოვანი ერთობა აკავშირებს.

ხმელთაშვა და შავი გლვების საგლვაო რუპე

(პორტფლანი)

ავტორი: რაფაელ სოლერი.

სავარაუდო თარიღი: 1425-1450 წწ.


ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი
(ხელნაწერი (MS) N:H14-12).

ბერლინი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აღნიშნულია დასახლებული პუნქტი, წარწერით “სებასტოპოლი” (Sauastopolis - სოხუმი). მასზე აღმართულია დროშა, რომლის ველი გაყოფილია ორ ნაწილად: პირველზე გამოსახულია მენამული (წითელი) ხუთჯვრიანი სიმბოლო, ხოლო მეორე ნაწილზე, მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ დახრილი ზურმუხტის (მწვანე) ფართო ზოლები.



ფოტო N1





ქართული პერალდიკის წარსულიდან

(ქართული "სააჭოთა ხელოვნება", N1 1957 წ.)

უძველესი დროიდან კაცობრიობა თავის აზრებს პირობითი გა-
მოსახულებით, ე.წ. სიმბოლური ნიშნებით გამოხატავდა. ასეთივე
სიმბოლური ნიშნებით გამოსახავდნენ ძველად ადამიანები თავი-
ანთ საკუთრებას. ზოგჯერ მათ მაგიური მნიშვნელობაც ჰქონდათ.
კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოების წარმომობის
ეპოქიდან მოყოლებული კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნილება
სხვადასხვა სიმბოლურ გამოსახულებებზე, ემბლემებზე და ნიშ-
ნებზე.

ემბლემები და ლერპები კაცობრიობის განვითარების დასახელე-
ბულ ეპოქაში გამოსახავდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოს თავისებუ-
რებას, წოდებრივ განსხვავებას, სამხედრო პატივსა და წყობას,
აგრეთვე, რელიგიურ კუთვნილებას.

მეცნიერებას, რომელიც საერთოდ ამგვარ სიმბოლურ ემბლემ-
ებს, კერძოდ კი, ლერპებს შეისწოლის, ჰერალდიკა ეწოდება.

ჰერალდიკა საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი დამხმარე
დარგია. იგი მიზნად ისახავს ყველა სახისა და დანიშნულების ლე-


რპთა შესწავლას, აგრეთვე
იმ აზრობრივი, სიმბოლუ-
რი ნიშნების შესწავლასაც,
რომლებიც გამოსახულია
ამა თუ იმ ლერპზე (ლე-
რპთმცოდნება). რუსეთში
ძველად ლერპთმცოდნეო-
ბის სპეციალური ინსტი-
ტუტიც არსებობდა — ე.წ.
ჰერალდიკის ინსტიტუტი,
რომელიც ძირითადად ლე-
რპების შესწავლას აწარ-
მოებდა. მაგრამ ჰერალ-
დიკა მხოლოდ ამ ვიწრო
ჩარჩოებით როდი განისაზ-
ღვრება. ჰერალდიკამ ჩვენს
დროში დამოუკიდებელი მე-
ცნიერების სახე მიიღო,
რომლის შესწავლის ობიექ-



ფოტო N1

ტი ფართოვდება ხალხური და საკულტო სიმბოლიკის შესწავლის გზით. ამ მიმართულებით უნდა სწარმოებდეს ძიება ჰერალდიკური გამოსახულების იმ პირველადი წყაროებისა, რომლებიც, უეჭველია, უძველესი დამწერლობის — იდიოლოგრამების, იეროგლიფებისა და პიეტოგრამების დროს წარმოიშვნენ კაცობრიობის განვითარების გარიურაჟზე.

ღერბები, როგორც რაინდთა ორდენების განმასხვავებელი ემბლემები, რაინდობის ეპოქაში იქნა შემოღებული და პოლონეთის, ლიტვისა და ბალტიისპირეთის მხრიდან XVII საუკუნეში გავრცელდა რუსეთშიც, სადაც ჰეტრე პირველის მეფობის დროს დამკვიდრდდა საფუძვლიანად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ღერბების



1. ჰერალდიკური
გამოსახულება საბრძოლო
ნაჟახზე.



2. ხეთების ფასუნჯი



3. ლომის თავი
კოლხურ მონარქიზე.




4. ხეთების ორთავიანი არწივის
ეგვიპტება.

შემოღებამდე რუსეთში არსებობდა საგვარეულო ბეჭდები ჰერალ-დიკური გამოსახულებითა და პირობითი ნიშნებით, რაც ადრინ-დელი მშობლიური ჰერალდიკის არსებობის ფაქტზე მიუთითებს. ჰერალდიკა და ლერპები აღმოსავლეთისაკენ არ გავრცელებულა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები არ იცნობდნენ ლერპებს იმ მნიშ-ვნელობით, როგორც ეს დასავლეთში ესმოდათ. ის ფაქტი, რომ რუსეთის შემდეგ ჰერალდიკა და ლერპები აღმოსავლეთისაკენ აღარ გავრცელებულა, ზოგიერთებს საბაბს აძლევდა, ეფიქრათ, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ჰერალდიკა არასდროს არ არსებობდა და ამ მხრივ აქ გამოსაკვლევიც არაფერია!...

ამ მცდარი შეხედულების უმართებულობა სავსებით ნათელი გახდება, თუ გულდასმით ჩავუკვირდებით ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში (ხეთები, სუმერები, ბაბილონი, ეგვიპტე, ასურე-თი, ირანი და სხვა) არსებულ სიმბოლურ-ჰერალდიკურ გამოსახ-ულებებს. ჩვენამდე მოღწეული მათი სიმბოლიკური და ჰერალდი-კური ძეგლები სრულ საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ ამ ხალხებს სავსებით ჩამოყალიბებულ საკუთარ სახელმწიფოე-ბრივ ცხოვრებასთან ერთად, საკუთარი სახელმწიფო, საკულტო და სამხედრო ჰერალდიკაც ჰქონდათ, რაც ამ ხალხების არსებო-ბის სპეციფიურ პირობებში განვითარდა. ეს გარემოება გვავალ-დებულებს სერიოზულად მივუდგეთ ხეთურ-იბერიულ-ქართული სიმბოლიკისა და ჰერალდიკის გამ-ოვლინებას და მეცნიერულ შესწავ-ლას.

ვიდრე პირდაპირ დავაყენებდეთ საკითხს ძველი ქართული ჰერალ-დიკისა და ძველი აღმოსავლეთის სიმბოლიკასთან მისი კავშირის შესახებ, საჭიროა მოვიმველიოთ სიმბოლიკის ის მდიდარი მემ-კვიდრეობა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია მატერიალური კულტურის ძეგლებისა და დამწერლობის სახით. ცნობილია, რომ საქართ-ველოში ისე, როგორც რუსეთში, დასავლეთ-ევროპული ტიპის ლე-რპების გამოჩენამდე არსებობდა საგვარეულო ბეჭდები, ზოგჯერ



სპირალის ნიშნები პრინციპს გამოსატულებაზე. დაახლ. VIII
საუკ. ჩვენს ცელთაღრიცხვამდე
(თრიალეთის გათხრებიდან)

ემბლემებითა და დევიზებით. საქართველოში ღერბების შემოღების დროს (XIX საუკ. პირველი ნახევარი) ითვალისწინებდნენ საგვარეულო ტრადიციულ სიმბოლოებს.


ქართული ჰერალდიკის მრავალფეროვნებაზე ნათლად მეტყველებენ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ჰერალდიკური ნიმუშები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უძველესი დროიდან ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებით გავრცელებული იყო სპირალის ემბლემა, რასაც, შესაძლოა, რაღაც მაგიური, შელოცვითი დანიშნულება ჰქონდა. სპირალს გამოსახავდნენ ხან ლათინური S-ის მსგავსად, ხან კი ერთმანეთში შემავალი სამი კონცენტრული წრის მსგავსად (ზოგჯერ მზის სხივებით). ეს ემბლემა კეთდებოდა სხვადასხვა საკულტო, ზოომორფულ (ცხოველთა) ფიგურებზე, რომელთაც შემდეგში, ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში, ვევდებით ბოლნისის ხარის საკულტო ემბლემაზე (თვალის სამმაგი გარსი). დამახასიათებელია, რომ სპირალის ნიშანი არასდროს არ გვხვდება ფასკუნჯებზე. სპირალი ორგანულად შევიდა ქართული ორნამენტის შემადგენლობაში: ის ჯერ კიდევ VIII საუკუნეში გვხვდება ბრინჯაოს სარტყელთა აშიაზე.

ჩვენი წელთაღრიცხვის ადრეულ საუკუნეთა (I-VI ს.) ჰერალდიკური ძეგლებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ორი ნიშანი, რომლებიც მცხეთის ქაზე მოიპოვება (ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). წარწერის ზემოთ, რომელიც მოგვითხრობს ფარსმან მეფის შვილის - ქართველი მეფის მითრიდატის სამხედრო წარმატებზე, საპატიო ადგილი უჭირავს ჰერალდიკურ ნიშანს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ან მეფეთა დინასტიის



ნიშანი თავარ მაფის
მონეტაზე



ნიშანი მონეტის ჩვაზე.

| საუკუნე ჩ/ნელთაღრიცხვით



ფოტო N2

ურ ემბლემას ან თვით მითრიდატის პირად ნიშანს (ე.ნ. სტანდარტული ნიშანი). გვერდზე მოთავსებულია მეორე ნიშანი ძველი, ტრადიციული სპირალის სახით. ეს ქვა ჩვენი წელთაღრიცხვის 1 საუკუნით თარიღდება.

ჰერალდიკურ ძეგლებს შეიძლება მიეკუთვნონ ადრინდელფე-ოდალური ეპოქის საინტერესო ნიმუშები: მრგვალი, ჯვრიანი შტანდარტი და ხარის თავი, რომელსაც ზემოთ ჯვარი აზის (ორივე ბოლნისის ტაძრიდან). ასეთი შტანდარტები ძალიან ხშირად გვხვდება ეგვიპტეში, ასურეთში და ხეთებთან. ხარის თავის გამოხატულება რქებს შუა მოთავსებული ჯვრით, მიეკუთვნება ამ პირუტყვის კულტობრივ თაყვანისცემას, რაც შორეულ წარმართულ დროს წარმოებდა. აღსანიშნავია, რომ ხარის ემბლემა კულტობრივი მნიშვნელობით გვხვდება ეგვიპტის, ბაბილონის, ასურეთის, კოლხებისა და სხვა სიმბოლიკაში. ხარის თაყვანისცემის იდეა გადატანილ იქნა ქრისტიანობის დროსაც.



ძვის მთლიანობა ნიშნავი მცხოვრის ჯვრიდან. VI ს.

X-XI საუკუნეთა უფრო მოგვიანო ჰერალდიკურ ემბლემათა შორის ინტერესს იწვევს ნიშანი თამარ მეფის მონეტაზე, რომელსაც გვერდებზე წარწერა აქვს (თამარი-დავითი) და ისეთივე ნიშანი, რომელიც დიმიტრი თავდადებულის მონეტაზე გვხვდება (თუმცა რამდენიმე სახეცვლილი ფორმით). ამ ნიშნის შესახებ ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლო უნდა იყოს ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად მისი აღიარება.

ქართული ჰერალდიკის საერთო სურათისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროშებს, დროშების თავსამკაულებსა და ჩანახატებს. ასეთ ნიმუშებს წარმოადგენენ რუსუდან მეფის (გიორგი III დისა და თამარ მეფის მამიდის) დროშის თავსამკაული წარწერითურთ (იხ. ფოტო N1), კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის დროშის თავსამკაული, ქართული დროშების ჩანახატები ვახუშტი ბატონიშვილისა (გეოგრაფიულ ატლასში) და ათი დროშა საქართველოს სამეფო ბეჭედზე, რომლითაც დამოწმებულია 1783 წელს რუსეთთან დადებული ხელშეკრულება. ჯერ კიდევ კარგად არ არის გარკვეული საკითხი ქართული სახელმწიფო ღერბების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ შორეულ დინასტიაზე, როგორიც ფარნავაზიანთა დინასტიაა, ბაგრატიონთა მეფობის ადრინდელი პერიოდის არც ერთი სახელმწიფო მნიშვნელობის ნამდვილი ემბლემა ჯერ არაა აღმოჩენილი. თამარ მეფის ნიშანი პირობითად თუ ჩაითვლება ბაგრატიონთა ემბლემად, მაგრამ მაშინაც კი ამ ნიშნის დროიდან ვახტაგ VI-ის ნიშნის დრომდე (ფოტო N2), მთელი 800 წლის მანძილი ბურუსით მოცული რჩება. ვახტაგ VI-ის ღერბი შემდეგი კომპოზიციით შეიცვალა: მთავარ შენარჩუნებულ დეტალებს (კვართი, ჩანგი და შურდული) დაემატა ზოგიერთი ჰერალდიკური სიმბოლო და ორი წარწერა დავითის ფსალმუნიდან (ფს. 131.11 და 21.19).

კარგად ვერ არის აგრეთვე გარკვეული ამქართა ემბლემების საკითხიც. როგორც ცნობილია, ხელოსანთა ამქრობა საქა-

რთველოში ჯერ კიდევ V საუკუნეში გვხვდება, მათი ნიშნები კი ჩვენამდე არ მოსულა. დღეს მხოლოდ XIX საუკუნის ამქართა ნიშნები მოგვეპოვება. ჩვენამდე მოლწეული უძველესი ნიშნები, ხელოსან-მკეთებელთა ნიშნების აღნიშვნით, ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნით თარიღდება და უმთავრესად თიხის ჭურჭელზეა დაცული. ასევე უნიკალური მნიშვნელობისაა ე.ნ. ქვისმთლელთა ნიშნები, რომლებიც მოთავსებულია ჯვრის, ატენის, წრომის, ზღუდერისა და აკვანების ტაძრებზე, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის VI-VII საუკუნეებს მიეკუთვნება. ეს ნიშნები, თუ ყველა არა, ზოგი მაინც, ტრადიციულია. ასე, მაგალითად, დაბლა-გომის ჭურჭლის ნიშანი (VI ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ასომთავრულ ტ-დ სახით მცხეთის ჯვრის პატარა ეკლესის ნიშანთა შორისაც გვხვდება (ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნე). ჯვრის ეკლესის ზოგიერთი ნიშანი ასი წლის შემდეგ მეორდება ატენში და ა.შ. ასეთი ნიშნების ამოცნობა აუცილებლად საჭიროა საქართველოს ჰერალდიკის შემდგომი კვლევისათვის, რომელშიც არქეოლოგებთან და ისტორიკოსებთან ერთად ხელოვნებათმცოდნებმაც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

მ. ვადბოლსკი საქართველოს დამსახურებული მხატვარი

მიხეილ ვადბოლსკი (1899 - 1990 ნ.წ.) - საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მოჭადრაკე და ჭადრაკის ისტორიის მკვლევარი. ავტორია სტატიის „ქართული ჰერალდიკის ნარსულიდან“ (ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №1, 1957 წ.) და წიგნების - „ქართული ჰერალდიკის ალბომი“ (1947), „ძველი ქართული ჰერალდიკა და „ხეთო-ივერო-ქართველური სიმბოლიკა“ (1970), „მასალები ძველი ქართული სიმბოლიკის და ჰერალდიკის საკითხებისათვის“ (1970), „ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა“ (1980).

ოლეგ ტარნოვსკის მიერ მიხაილ ვალეოლისადმი მიწერილი წერილი

მოსკოვი, 6 ივნისი 1980 წ.

პატივცემულო მიხაილ ნიკოლაის ძევ!

თქვენ გწერთ ჩვენ ქვეყნაში არსებული არც თუ ისე ბევრი დროშადმცოდნეთაგან ერთ-ერთი - ოლეგ ივანოვიჩ ტარნოვსკი. მე უკვე 50-ს გადავაბიჯე და აქედან 25 წელია მთელი მსოფლიოს დროშების შეგროვებითა და მათი იდენტიფიკაციით ვარ დაკავებული. ძველი ქართული დროშების მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას ვიჩენ, რადგან ჩემი მეუღლე ქართველია.

ამ ცოტა ხნის წინ ჩემ ხელთ აღმოჩნდა ფრანგული ბიულეტენი Vexillologia-ს ზოგიერთი ეგზემპლარი დროშათმცოდნეობის შესახებ (სამწუხაროდ, იგი უკვე აღარ გამოიცემა). მასში რამდენიმე ქართული დროშაც არის მოცემული. განსაკუთრებით გამიმართლა სოხუმის (აფხაზურმა) დროშამ.

XIV საუკუნის დასაწყისში სოხუმის (აფხაზეთის) ასეთი დროშა არსებობდა: წითელი დისკობი და ჯვარი თეთრ ველზე.

XIV საუკუნის შუა წლებში სოხუმის (აფხაზეთის) შემდეგი დროშები აღინიშნება:

ნათელია, რომ ისინი ერთი და იგივე დროშის სხვადასხვა სახეობებია. ამ სამს მეოთხე დროშაც დაემატა, რომელზეც (გაუგებარია, რატომ) მარჯვენა ხელია გამოსახული: თეთრი ხელი წითელ ველზე.

ეს არ არის მუსულმანური ემბლემა (თუმცა არაბებმა აფხაზეთში საკუთარი კვალი დატოვეს), რადგან ისინი ყოველთვის მარცხენა ხელის მტევანს გამოსახავენ.

არის ქართული დროშაც. როგორც ჩანს, წარწერა Colcos - Gorgos ნიშნავს, რომ დროშების კრებულის შემდგენელმა, ინფორმაცია იკონის სასულთნოში მიიღო, სადაც კოლხი – გორგი-ს მიხედვით შეთხზეს თურქული თიოდაქი (საქართველო): შავ ველზე 5 თეთრი ჯვარი.

ეს დროშა შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ, როდესაც გამოჩნდა იერუსალიმის სამეფოს დროშა.

შეგიძლიათ თუ არა, მიხაილ ნიკოლაევიჩ, თუნდაც რაიმე სიცხადე შეიტანოთ საქართველოს სხვა რაიონების ძველი (უფრო

ადრეულის, ვიდრე ეს ვახუშტი ბაგრატიონს აქვს მოცემული) დროშების ფერთა საკითხში?

სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ძველი დროშა ასეთი იყო (იგი მოცემულია ვახუშტის მიერ გამოხატულ გერბზე):

რა ფერი ჰქონდა ველს? ხმალს? ვარსკვლავებს? თუ არ-სებობს პირდაპირი მითითება, მაშინ იქნება გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები, ვარაუდები?

კახეთის ძველი დროშა: გთხოვთ განმარტებას.

ხოლო ვასალური შირვანის: როგორია ფერი ველის? კაიმის? ცენტრალური ემბლემის?

ქართლის ძველი დროშა, უდავოა, მუქი წითელი ქსოვილი (შვინდის ფერისა) იყო. ხოლო ემბლემა მასზე შეიძლებოდა ყო-ფილიყო 8—ქიმიანი ვარსკვლავი სხივებით. ხომ არაფერი იცით ამის შესახებ?

ამ ცოტა ხნის წინ გავეცანი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუ-ფლების დამყარების პერიოდის შესახებ მოვლენებს. თურმე იმ დროს ბურუუაზიული ნაციონალისტები აქტიურად მოქმედებდნენ. სადღაც პაუსტოვსკისთან ნათქვამია, რომ მათი დროშა თეთრ-მწვანე იყო. ხომ არა გაქვთ თქვენ უფრო დეტალური ინ-ფორმაცია?

მოუთმენლად ველი თქვენი წიგნის გამოცემას საქართველოს ისტორიული დროშების შესახებ.

წარმატებებს გისურვებთ!
თქვენი ო. ტარნოვსკი

ოლეგ ტარნოვსკი - ქ. მოსკოვში მცხოვრები ვექსილოლოგი, ავტორი ქართულ პერი-ოდულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიებისა ქართული ისტორიული დროშების შესახებ - „საქართველოს ისტორიული დროშები“ (ჟურნ. „ისტორია, გეოგრაფია სკოლაში“, №4, 1982 წ.) და „საქართველოს ეროვნული დროშა“ (გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 11.09.1989 წ.).

№1


Москва, 6 июня 1980 г.

Уважаемый Михаил Филиппович!


Приношу Вам один из немногих орнаментов в
книге Симеона — Георгиевский Орел Ивановы.
Мне уже за 50, но мне 25 лет занималась
собиранием и изучением различных орнаментов
типа. У меня самое интересное присущее орнаменту
с особой ноткой, т.к. это самая старая
группировка.

Недавно мне попалось в руки немецкая
энциклопедия орнаментального орнаментирования под на-
зывом Verzilloogia (и сомнительно, он умел не
буксировать). Там приведено несколько групп
типов орнаментов. Особенно люблю сухумские
(абхазские) орнаменты.

В начале XIV века Тебризская школа орнаментации
Сухумии (Абхазии):



В середине XIV века развивается следующий тип орнамента
Сухумии (Абхазии):




Дело, что все они — это разновидности этого и
другие не знаю. К этим добавлены еще некоторые орнаменты,
но не знаю (не вижу либо, поэтому) изображения ~~одного~~
правильных орнаментов:



Белая рука / Красная пальца

Это не изученное мною орнамент (Хочу обратить
внимание "о Абхазии"), т.к. я таких образов изобра-
жен не видел ~~еще~~, кроме изображений.

Есть и флаг Грузии. Удивительно, что создавшись Собиратель
имело такое значение в Иконнических сце-
нах, не на базе „кохи - горе“ состояло
Курянское Благодарство (Грузия)!
На гербах все 5 Грузии
Кубиков.




Этот герб им возникший
Грузии земли Кубиковских походов, когда еще не было
гражданской войны Надежды.

Не помешал ли Вам, Аланам, тишинаху, бывшим
Хасав кубри-тикуры Единственную в мире? расшиба
Святого архангела Михаила (смите разы) против
Кубиков Грузии (древнее, чем у Вахтанга Багратиони)?

У художника Самхе-Самаха Святого герба
Грузии Грузии (он же герб, приобретенный Вахтангом):
Каким быть герб? Саби?

Звезда? Саби не пойдет уна-
заных, это искажит Грузин Вам
бескрайние земли своих сообра-
жений, Грузии?

Святого герба Кахетии:
Бычий разъединение.



А у касатников Чирбата:
Каким быть герб? Какой? Чир-
баталии? Живите?

Святого герба принца Кахетии, живущего, Груз-
ии под небесами земли (Дзебади вею). А как
живущемуся же всем своим Грузинам? Ты-
сейчас суть синие звезды
с звездами. Вам нужны же изображения на этих землях?

Предложил кубиками, с созданной им гербом
желаниями советской власти в Абхазии. Оно
важнейшее земли Денистовых античного бурназурных
наименаний. Но у Пастухов это говорили,
что их герб Грузия Грузии-Чечеи. Чем же у Вам
такие подозрительные изображения?

С тем времени между кубиками Вахтанги
ос митрополита Грузии. Учреди Вам!

Ваш О. Тарбовский

9673n

საქართველოსთან დაკავშირებაშე პილევ ერთი გერბის შესახებ

2014 წელს გამოცემული ჟურნალი „ჰეროლდის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა ჩვენი სტატია სათაურით „უძველესი ქართული გერბი“. სტატია კონრად ფონ გრიუნენბერგის 1483 წლით დათარიღებულ „გერბების წიგნში“ მოყვანილ იმ გერბებს განიხილავდა, რომლებიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ზემოთქმული სტატიის გამოქვეყნებამდე მიიჩნეოდა, რომ გრიუნენბერგის წიგნში საქართველოს ოთხი გერბი უკავშირდებოდა და ისინი ქართველი მკვლევრების მიერ ამ ჰერიოდისთვის უკვე იყო შესწავლილი. აღსანიშნავია, რომ თავად საქართველოში ამ ოთხი გერბიდან არც ერთის გამოყენება არ იყო დადასტურებული და აქედან გამომდინარე, ეს გერბები ე.წ. „მიწერით ჰერალდიკას“ განეკუთვნებოდა.

მაშინ ჩვენ გრიუნენბერგის წიგნში, ოთხი უკვე ცნობილის გარდა, მივაკვლიეთ საქართველოსთან დაკავშირებულ მეხუთე და ქართველი მკვლევარებისთვის ჯერ კიდევ უცნობ გერბს, რომლის ვერცხლის (თეთრ) ველზე, მენამულ (წითელ) ალმოდებული, ზურმუხტოვანი (მწვანე) მთა არის გამოსახული.

ეს გერბი იმით განსხვავდებოდა უკვე ცნობილი ოთხისგან, რომ მასზე გამოსახული კომპოზიციის გამოყენება, ამა თუ იმ სახით, თავად საქართველოშიც დასტურდებოდა.

რამდენიმე წლის წინ, გრიუნენბერგის წიგნის ხელახალი გადახედვისას, ჩვენ საქართველოსთან დაკავშირებულ კიდევ ერთ უცნობ, მეექვსე გერბსაც მივაკვლიეთ.

საკითხით დაინტერესებული მკითხველის გასარკვევად, სულ ბოლოს მიკვლეული გერბის აღნერამდე, ჯერ მოვიყვანთ ამონარიდებს ჩვენი 2014 წლის სტატიიდან.

„ჰერალდიკასთა წრეებში დღემდე მიიჩნეოდა, რომ საქართველოს ტერიტორიული ერთეულების აღმნიშვნელი უძველესი გერბები, მოსკოვის დიდი მთავრის ალექსეი მიხაილოვიჩის 1672 წლით დათარიღებულ „ტიტულარნიკშია“ გამოსახული. ამ წიგნში მოყვანილი გერბებით აღნიშნული ტერიტორიების ნაწილს მოსკოვის მთავარი რეალურად განაგებდა, ნაწილზე კი მხოლოდ პრეტენზიას აცხადებდა. სწორედ ამ უკანასკნელთა შორისაა საქართველოს მიწების აღმნიშვნელი გერბებიც.“

ასეთ გერბებს „საპრეტენზიო გერბებს“ უწოდებენ. XIX საუკუ-

ნის პირველ ნახევრამდე მათი გამოსახვა საკმაოდ გავრცელებული იყო. გავიხსენოთ თუნდაც დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო გერბში შემავალი საფრანგეთის აღმნიშვნელი შროშანები, რომლებიც ინგლისის გერბში ჯერ კიდევ XIV საუკუნეში შეიტანეს და გერბიდან მხოლოდ ჯორჯ III-ის მმართველობისას, 1801 წელს ამოიღეს.

ასევე შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ერეკლე II-ის მმართველობის დროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი გერბი.

აյ ბაგრატოვანთა საგვარეულო გერბი ერეკლე II-ის მმართველობას რეალურად დაქვემდებარებული და იმ ტერიტორიების (სამთავროების) გერბებითაა გარშემორტყმული, რომელთა ფლობაზეც მეფე პრეტენზიას აცხადებდა.

ჰერალდიკის ქართველ მკვლევართა აზრით, „ტიტულარნიკში“ გამოსახული გველეშაპის განმგმირავი წმინდა გიორგი წარწერით - Карталинских и Грузинских Царей - ქართლს, ამ შემთხვევაში კი სრულიად საქართველოს გამოსახავს. ორი ისრით გამსჭვალული „ცეცხლოვანი მთა“ წარწერით - Государь Иверские земли, ქართლის მიწებს შეესაბამება, ხოლო გერბი ყალყზე შემდგარი ცხენითა და წარწერით - Всех Северные страны Повелитель - კახეთს.


დღემდე მკვლევარები მეტნილად თანხმდებოდნენ, რომ ეს სამი გერბი უძველესი იყო ქართულ მიწებთან დაკავშირებულ იმ გერბთა შორის, რომლებიც რეალურად გამოიყენებოდა საქართველოში და რომ ისინი არ წარმოადგენენ ე.წ. „მიწერითი ჰერალდიკის“ ანუ უცხოელ ჰერალდიკოსთა ფანტაზიის ნაყოფს.

ამ გერბების გამოყენებას საქართველოში ჩვენს ხელთ არსებული ჰერალდიკური დანატოვარი ამჟარებს.

ასე, მაგალითად, 1746 წლით დათარიღებულ ერეკლე II-ის ბეჭედზე გამოსახულია „ტიტულარნიკში“ მოცემულის მსგავსი ცეცხლოვანი მთა, თუმცა ისრები მთას კი არ გამსჭვალავს, არამედ ისინი გერბის მტვირთველ ლომებს უპყრიათ. ასევე დასტურდება წმინდა გიორგისა და ყალყზე შემდგარი ცხენის კომპოზიციებიც.

ახლა კი მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ცეცხლოვან მთაზე გადავიტანთ.


ზემოთქმული ორი შემთხვევის გარდა, ცეცხლოვანი მთა, გეორგიევსკის ტრაქტატზე დაკიდებულ ქართლ-კახეთის დიდ სახელმწიფო ბეჭედზე გამოსახულ გერბშიც გვხვდება. ერეკლე II-ის ტიტულატურიდან გამომდინარე, აյ, როგორც ვარაუდობენ, წმინდა გიორგი ქართლს აღნიშნავს, ხოლო ისრებიანი მთა კი - კახ-



ივერიის, ქართლისა და საქართველოს გერბის
აღმატები მიხაილოვიჩის „ტიტულარნიკიდან“
1672 წელი



გრაფი ფრანჩესკო სანტი. ძართლის გერბი რუსთის გერბიდან, 1727 წელი



ძართლის გერბი „საქართველოს სახელი“ გერბში, რუსთის იმპერიის დიდი სახელმწიფო გერბიდან, 1882 წელი

ეთს. ამ კომპოზიციაში, ისრები მთას კი არ გამსჭვალავს, არამედ ისინი მთის ფონზეა გამოსახული. თუმცა რუსეთში დაცული წყაროების თანახმად, „ცეცხლოვანი მთა“ ქართლის სიმბოლოა.

სამივე შემთხვევაში გამოსახულია მთა და ისრები (თუმცა კომპოზიციურად დააზრობრივად სხვადასხვა წყობით). ორ შემთხვევაში მთა ცეცხლოდებულია. ქართული ჰერალდიკის ასოციაცია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ცდილობდა საქართველოს „დიდი გერბის“ გამოყენების ტრადიციის დანერგვას („დიდი გერბი“ უნდა ყოფილიყო ოთხ ნაწილად გაყოფილი ფარი, სადაც პირველი და მეოთხე მონაკვეთის ველზე, ამ შემთხვევაში იძერია-ქართლის ამსახველი ისრებით გამსჭვალული ცეცხლოვანი მთა, ხოლო მესამე მონაკვეთის ველზე კი კოლხეთის აღმნიშველი ოქროს საწმისი). ეს პროექტი მაშინდელმა პარლამენტმა დაინუნა და დღემდე საქართველოს „საშუალო გერბი“ (გერბი, რომელშიც ქვეყნის ძირითადი ემბლემატიკაა ასახული, დევიზითა და ფარის მტკირთველებით) დიდი გერბის ფუნქციას ასრულებს.

მიიჩნეოდა, რომ საქართველოს ტრიტორიული ერთეულების ამსახველი სხვა უფრო ძველი წარმოშობის ყველა გერბი „მიწერითი

ჰერალდიკის“ ნიმუშებს წარმოადგენდა, ვინაიდან ამ გერბების საქართველოში გამოყენება არ დასტურდებოდა.

ერთ-ერთი მსგავსი მაგალითია კონრად ფონ გრიუნენბერგის 1483 წლით დათარიღებული „გერბების წიგნი“. გრიუნენბერგი დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქ კონსტანცის ბიურგერებისა და რაინდების ოჯახიდან იყო.

მის ნაშრომში ევროპის აროს-ტოკრატთა და მაშინდელი დასავლური სამყაროსთვის ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა სამეფოსა თუ ტერიტორიული ერთეულის, რეალურად არსებული თუ მიწერითი 2293 გერბია გამოსახული. სადღეისოდ ცნობილია, რომ შემორჩა ნაშრომის რამდენიმე ეგზემპლარი. სტატიაში გამოყენებული რამდენიმე ფერადი ფოტო, მიუნჰენის ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული ეგზემპლარიდანაა. როგორც ცნობილია, 1414-1418 წლებში ქალაქ კონსტანციში კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო კრება ჩატარდა, რომელსაც არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთ ევროპის ზოგი მართლმადიდებელი ქვეყნის, მათ შორის ბიზანტიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.


მკვლევართა აზრით, გრიუნენბერგი, უცხო ქვეყნების გერბების შესახებ ძირითადად იმ მოძველებულ ინფორმაციას ფლობს, რაც



ჩართლის გერბი აავლე 1-ის დიდი სახელმწიფო გერბის მანიფესტიდან, 1800 წელი



ერავლე 2-ის გერბი 1746 წელი



ეპთლის გარში, ეპთლ-
ახოთის დიდი სახელმიწოდ-
ებაზღიდან, 1783 წელი

კონსტანციის კრების დამსწრეთაგანაა
მიღებული. ამ შემთხვევაში კი წიგნ-
ში გამოსახული აღმოსავლური გერ-
ბებების რეალურად გამოყენება, თუ
ამ ქვეყნებისთვის გერბების მიწერა,
XLV საუკუნის მიწურულითა და XV
საუკუნის დასაწყისით შეიძლება და-
თარიღდეს.

ახლა კი განვიხილოთ ის გერბები,
რომლებიც გრიუნენბერგის ნაშრომ-
ში საქართველოს ტერიტორიულ ერ-
თეულებს აღნიშნავს. ასეთთა შორისაა
აფხაზეთის ორი გერბი, რომლებსაც
ერთვის წარწერები - Aptdas და Apt-
sas. სავარაუდოდ, ეს გერბები მთელ
დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს.
აღმოსავლეთ საქართველოს კი გრი-
უნენბერგთან შეესაბამება ტერმინები
- Georryen და Gedryen.

აფხაზეთისთვის მიწერილი პირვე-
ლი გერბი წარწერით - Kung Von Abtdas - წარმოადგენს მენამულ
(წითელ) ფარს, რომელზეც ოქროს თავდია გვირგვინია გამოსახ-
ული. გვირგვინის კი თავზე ე.წ. „თათრული ქუდი“ ადგას (ზოგ
შემთხვევაში ასეთ ქუდს, ალბანურს ან ყივჩაყურსაც უწოდებენ),
რაც აფხაზეთის მონლოლებისადმი ვასალურ დამოკიდებულებას
აღნიშნავს. ამას ადასტურებს გერბის წარწერაც, სადაც აღნიშნუ-
ლია ის, რომ აფხაზეთი ხანის ვასალი ქვეყანაა (წიგნის შექმნის
პერიოდში მონლოლთა ერთიანი სახელმწიფო უკვე დაშლილი იყო
და ამ ვრცელ ტერიტორიაზე, მისი რამდენიმე მემკვიდრე სახანო
იყო წარმოქმნილი. თუმცა XV საუკუნის დასავლეთ ევროპელები
ხშირად ჯეროვნად ვერ ასახავდნენ მათ თანადროულ რეალურ
პოლიტიკურ სიტუაციას და სისტემატურად ეყრდნობოდნენ უკვე
მოძველებულ ინფორმაციას აღმოსავლეთ ევროპის, თუ ახლო და
შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ).

აღსანიშნავია ისიც, რომ გრიუნენბერგის ნაშრომში, მონლოლ-
თა ვასალობის აღმნიშვნელი წარწერები თან ახლავს საქართვე-
ლოს და საერთოდ აღმოსავლეთ ევროპისა თუ ახლო აღმოსავლე-
თის თითქმის ყველა გერბს.



კონკად ფონ გრიუნენბერგის „საგერბე ნიგნის“ ფურცელი ქართული
მინიატურის გერბით, 1483



გრიუნენდერგის მიერ
აფხაზეთისთვის მიერილი
ჩარპი, 1483 წელი



გრიუნენდერგის მიერ
აფხაზეთისთვის მიერილი
ჩაორე ჩარპი, 1483 წელი

აფხაზეთის ამსახველი მეორე
გერბი წარწერით - Kung Von Abtsas - წარმოადგენს ოქროს ფარს,
რომელზეც, ზემოდან ქვემოთ შე-
ვინროებული, სევადა (შავი) და
ვერცხლის შუბის პირების მსგავ-
სი, ანდრიას ჯვრისებურად გადა-
ჯვარედინებული წაწვეტებული
ობიექტებია გამოსახული.

აღმოსავლეთ საქართველოსთ-
ვის მიწერილი პირველი გერბი
წარმოადგენს მენამულ ფარს, რო-
მელზეც მავრების ორ ხელს, ოქ-
როს თავდია გვირგვინი აქვს აღმ-
ართული. გერბს ახლავს წარწერა
- Kung Von Gedryen.

აღმოსავლეთ საქართველოსთ-
ვის განკუთვნილ მეორე ოქროს
გერბზე წარწერით - Kung Von
Georryen კი მენამულ გვირგვინ-
იანი სევადა ლომია გამოსახული
(გრიუნენბერგის ნაშრომის ზოგ
ვერსიაში მას ადამიანის სახე
აქვს), რომელიც წიგნის მიუნ-
ჰენურ ვერსიაში გამოსახულ გერ-
ბზე ვერცხლის ხმალს ამოაგებს
მენამული ქარქაშიდან.

გრიუნენბერგისეული ეს ოთხი
გერბი განხილული აქვს მკვლე-
ვარ ალექსანდრე თვარაძეს წიგნ-
ში „საქართველო და კავკასია
ევროპულ წყაროებში“ (გვ. 349).
ზემოთქმულ ოთხ გერბთან და-
კავშირებით, ჩვენც ვიზიარებთ
თვარაძის და სხვა მკვლევართა
მოსაზრებას, რომ ეს გერბები,
ლეგენდარული, მიწერითი ჰერ-
ალდიკის ნიმუშებია და ალბათ

საქართველოს ტერიტორიაზე ისინი არასდროს გამოიყენებოდა.

თუმცა, ქართული მიწების აღსანიშნავად გრიუნენბერგის ნაშრომში ნახსენები გერბების გარდა, წინა გვერდზე კიდევ ერთი გერბია მოყვანილი, რომელიც აქამდე მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა. ეს გერბი მოთავსებულია ორ გერბს შორის, რომლებიც ჩვენი აზრით, დღევანდელი უკრაინის მიწებს უნდა აღნიშნავდეს. ჩვენთვის საინტერესო გერბის მარცხნივ განთავსებული გერბის წარწერა იყითხება, როგორც - Kung Von Thaurus Undern Kaiser Kan. აქ საუბარი შეიძლება იყოს ძველი ტავრიდის ანუ ხერსონესის სამეფოს (დღევანდელი ყირიმი) შესახებ. თუმცა, შესაძლებელია, რომ გერბი მცირე აზიაში მდებარე ტავროსის მთების რეგიონს ან კიდევ სპარსეთის თავრიზს აღნიშნავდეს.

ჩვენთვის საინტერესო გერბის მარჯვნივ განთავსებული გერბის ლაუბარდოვან (მოცისფრო - მოლურჯო) ფარზე, ადამიანის ხელით მოზიდული ოქრო-ვერცხლის მშვილდ-ისარია გამოსახული. ამ გერბს ახლავს წარწერა - Kung Von Russen Gehort Undern Kan. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ იგულისხმებოდეს კიევის სამთავრო. უფრო გვიანი პერიოდის კიევის გერბზე მთავარანგელოზია გამოხატული, მაგრამ აღსანიშნავია, რომ 1698 წლით დათარი-



გრიუნენბერგის მიერ
საქართველოსთვის (Gedryen)
მიწერილი პირველი გერბი,
1483 წელი



გრიუნენბერგის მიერ
საქართველოსთვის (Georgien)
მიწერილი მეორე გერბი,
1483 წელი



გრიუნვილის ნიტების გვ. 1483 წლი

ღებულ კიევის გერბზე არბალეტია გამოსახული.

ამ მცირე გადახვევის შემდეგ დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო გერბს. ზემოხსენებულ ორს შორის მოთავსებულ ამ გერბს ახლავს წარწერა - Kung Von Lasya Gehort Undern Kan, რაც ითარგმნება, როგორც ხანს დაქვემდებარებული ლაზეთის მეფე. ვერცხლის (თეთრ) ფარზე გამოსახულია სამი ბორცვისგან შემდგარი, ზურმუხტოვანი (მწვანე) ალმოდებული მთა. ფერადი სახით, მთა გრიუნენბერგისეულ გერბზე, „ტიტულარნიკში“ და რუსეთის იმპერიის დიდ გერბში (XIX საუკუნე) მოთავსებულ საქართველოს სამეფოს გერბშია გამოსახული. რუსეთის გერბზე, რომელიც საქართველოს სამეფოს სახით მთელ კავკასიას მოიაზრებს, ცეცხლოვანი ზურმუხტოვანი მთა ოქროს ველზეა გამოსახული და ქართლის სამეფოს ასახავს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, მთა ცეცხლოვანია თუ უცეცხლო, ისრებითა გამსჭვალული თუ არა, იგი საქართველოში, დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, ქართულ მიწებს,



ლაზეთის (Kung Von Lasja Gehört
Undern Kan), გერბი გრიუნენბერგის
მიხედვით, 1483 წელი



ცეცხლოვანი მთა გრიუნენბერგის
ნიგნის მეორე ეგზემალარიდან,
1483 წელი

ან უფრო სწორად, საქართველოს ერთ რომელიმე ნაწილს აღნიშნავს. ზოგან ეს ქართლია, ზოგან კახეთი, გრიუნენბერგთან კი ლაზეთი ანუ დასავლეთ საქართველო. ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ ჰერალდიკური მხატვრული სტილი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და გრიუნენბერგის ნამრობი კლასიკური ჰერალდიკისთვის დამახასიათებელი გოტიკური სტილის მხატვრობის ნიმუშს ნარმოადგენს. მოსკოვური „ტიტულარნიკის“ გერბები კი XVII საუკუნისთვის დამახასიათებელი ბაროკოს მხატვრული სტილის გავლენითაა შექმნილი.

ამიტომაც ხაზგასმით გვინდა აღვნიშნით ის, რომ გამოსახვის მანერის განსხვავებულობა, ჰერალდიკაში არასდროს თამაშობს გადამწყვეტ როლს. ჰერალდიკისთვის მთავარი გამოსახულების შინაარსია.

აღსანიშნავია ისიც, რომ არა მხოლოდ შუა საუკუნეებში, არამედ ბევრად უფრო მოგვიანებითაც, უცხოურ წყაროებში, ქართული მიწების კლასიკური ჰერიოდის, ადრე შუა საუკუნეების და აღმწერლების თანადროული ეპოქის სახელწოდებები ერთმანეთშია აღრეული. ამ ჰერიოდის და გვიანდელ რუკებზეც კი, ხშირად გეოგრაფიული ტერმინი „ლაზეთი“ მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს და ტერმინების „კოლხეთის“, „აფხაზეთის“, „სამეგრელოსა“ და „იმერეთის“ პარალელურად, ერთსა და იმავე ტერიტორიას უკავშირდება. ასე, მაგალითად, ტერმინი „ლაზეთი“, მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს ბევრად მოგვიანებითაც კი, ანსელმო მარია ბანდურის მიერ 1742 წელს ამსტერდამში გამოცემულ რუკაზეც. ასეთივე სიტუაციაა აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებითაც, სადაც გეოგრაფიული ტერმინების აღმიშვნელი წარწერები - „იბერია“, „ქართლი“, „კახეთი“ და „საქართველო“ ზოგ შემთხვევაში, რუკებზე გამოსახულ ერთსა-დაიმავე ტერიტორიაზეა განთავსებული.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო გერბი თითქმის ორასი წლით უსწრებს მოსკოვურ „ტიტულარნიკში“ გამოსახულს და ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზების შედეგად, თამამად შეიძლება ვთქვათ ის, რომ სადლეისოდ მიკვლეულ, საქართველოსთან დაკავშირებულ და თავად საქართველოში რეალურად მოქმედ გერბთა შორის, უძველესი სწორედ 1483 წლით დათარიღებული გრიუნენბერგის „საგერბე წიგნში“ გამოსახული „ცეცხლოვანი მთაა“.

სავარაუდოდ

გრიუნენბერგის



კვიპროსისა და იპერიის (Der König Von Ybernia) გერბი
გრიგორებერგის ციტიდან, 1483 წელი



იპერიის (Der König Von Ybernia)
გერბი გრიფენერიგის ცივილიან,
1483 წელი

ლუზუნიანებს ნათესაობა აკავშირებდათ) მენამული ლომი ოქროს ველზე, იერუსალიმის ოქროს ჯვარი ვერცხლის ველზე და თავ-ად კვიპროსის (მენამული ლომი ვერცხლისა და ლაშვარდოვანი ძელების ფონზე) გერბებია გამოსახული.

სულ სხვა სიტუაცია იბერიის გერბთან დაკავშირებით. აქამდე ჩვენ არსად შეგვხვედრია იბერიასთან ანუ აღმოსავლეთ და სამხ-რეთ-დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში მსგავსი გერბის გამოსახვის თუ რეალურად გამოყენების ფაქტი. აქედან გამომ-დინარე, სავარაუდო ეს გერბი ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები „მი-ნერითი ჰერალდიკის“ ნიმუშია. თუმცა, ეს სულაც არ აკნინებს მის ჰერალდიკურ მნიშვნელობას. გერბის ოქროს ველზე სამი მე-ნამული ლეოპარდია გამოსახული (ასე ენდება ოთხ ფეხზე მდ-გომ ლომს, რომელსაც თავი ანფასში აქვს შემოტრიალებული. ჰერალდიკური ლეოპარდი ლომისგან ზოოლოგიურად არაფრით

ნაშრომს ნაწილობრივ მაინც იც-ნობდნენ „ტიტულარნიკის“ შემ-დგენები და ცეცხლოვანი მთაც სწორედ ამ ნაშრომიდან გადაი-ღეს.“

ახლა კი განვიხილოთ სტატიის დასაწყისში ნახსენები ის მექევსე გერბი, რომელსაც მხოლოდ რამ-დენიმე წლის წინ მივაკვლიეთ. ეს გერბი გრიფენებერგის წიგნის მიუნპენში დაცული ეგზემპლარის 55-ე გვერდზეა განთავსებული. ამ გვერდზე მხოლოდ ორი გერბია გამოსახული. მარცხენა გერბი კვიპროსის სამეფოს მიეკუთვნება, ხოლო მარჯვენა კი იბერიის სამეფოს. კვიპროსის გერ-ბი იმ გერბს წარმოადგენს, რო-მელსაც ფრანგ ლუზინიანთა დი-ნასტიის კვიპროსის ჯვაროსანი მეფეები იყენებდნენ. ეს გერბი სამნანილიანია და მასზე სომხე-თის (კილიკიის სომხეთი, რომლის ადრინდელ მმართველებთანაც

განსხვავდება). გერბს ზემოდან ვერცხლის გვირგვინდადგმული, ოქროს ზარადიანი რკინის მუზარადი ადგას. მუზარადის ლამპრე-კინი (მუზარადის გადახურებისგან დამცავი ქსოვილი) ოქროსი და მენამულია. გერბს ახლავს წარწერა - Der Könug Von Ybernia.

მართალია, მსგავსი ლათინური სახელით ადრეულ ხანაში ირლანდიაც იყო ცნობილი, მაგრამ გამომდინარე იმ ფაქტებიდან, რომ ირლანდიას ასეთი გერბი არასდროს ჰქონია, თანაც გრიუნენბერგი ირლანდიის ორ გერბს წარწერებით - Kung Von Enbernia in Schotten და Kung Von Yerland in Schotten რამდენიმე გვერდის წინ, შოტლანდიის გერბის გვერდით გამოსახავს და რომ ლეოპარდებიანი გერბი კვიპროს-სომხეთის გერბის გვერდზეა განთავსებული, ჩვენის აზრით, აქ საუბარი ქართულ მიწებზე, კერძოდ კი აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) მომიჯნავე და ზოგჯერ მასში შემავალ „ქართველთა სამეფოზე“ უნდა იყოს. ეს სამეფო, რომელიც ტაო-კლარჯეთს, ერუშეთს, ნიგალს, ჯავახეთს, არტაანს, კოლას, ბასიანს და აბოცს მოიცავდა, ბიზანტიურ წყაროებში იბერიის (ივერიის ბერძნულად) სახელით იყო ცნობილი. „ქართველთა სამეფო“ გრიუნენბერგის მიერ ნაშრომის შექმნამდე ლამის ოხასი წლით ადრე გაუქმდა, თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გრიუნენბერგის ნაშრომი სავსეა ანაქრონიზმებით.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამების შედეგად, შეიძლება დავუშვათ, რომ ლეოპარდებიანი გერბი, ქართული მიწების ამსახავი, „მიწერითი ჰერალდიკის“ კიდევ ერთი და აქამდე საქართველოში უცნობი ნიმუშია.

ზეპარის (ზეზა) პიკნაძე
მხატვარი-ჰერალდიკოსი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
დროშის პროექტის შესახებ (1992 წ.)
ინიციატივა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დაუძირან

ნაგებარ მგალობლებისათვის

ბატონო ნუგზარ, როდის და როგორ დაიწყეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოებზე მუშაობა და რომელ ისტორიულ წყაროებს ეყრდნობოდით. რის გამო თქვეს აფხაზებმა უარი თქვენ მიერ შექმნილ დროშის ვარიანტზე?

ყველამ ვიცით, რომ აფხაზეთის სიმბოლიკა ისტორიულად იყო - თასა, ის რაც გამოსახულია ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის კავკასიის გენერალურ რუკაზე. მაშინ, როდესაც 1991 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბას მიერ ითქვა, რომ აფხაზეთისათვის საჭირო იყო ახალი სიმბოლიკის შექმნა, მეც, როგორც მხატვარმა, გადავწყვიტე ამაზე მემუშავა. საბოლოოდ, ჩემს მიერ შექმნილი დროშა იყო ლია ლურჯი (ცისფერი)-შინდისფერი-ლურჯი ჰორიზონტალური ზოლებით, რომლის ზედა მარჯვენა კუთხეში, რომელ-საც თქვენ ჰერალდიკის სპეციალისტები „კრიუს“ უწოდებთ, თეთრ კვადრატში ჩასმული საქართველოს გერბით - თეთრი გიორგი.

იმ დროს ჩემთვის უმთავრესი იყო პატრიოტული, ეროვნული თემა და ამიტომაც გამოვიყენე შინდისფერი და საქართველოს



ნუგზარ მგალობლივის მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ცინაში ცარმოდგენილი დროშის ესკიზი

1992 წლის 23 ივლისს

გერბი. ლურჯი ფერი კი, რომელსაც ბევრი ადამიანი, ალბათ ზღვას დაუკავშირებს, არა ზღვას, არამედ ქართულ ლიტერატურაში მიღებულ პოეტურ გამოხატულებას მივუსადაგე. გემახსოვრებათ: „ზღვისა ფერს“... „ცისა ფერს“... გამოთქმები. მე მაშინ არანაირი შეხება არ მქონდა ჰერალდიკასთან, თუ არ ჩავთვლით წიგნის გაფორმებას.

მახსოვს, მწერალთა კავშირმა მთხოვა „ბალადა ვეფხისა და მოყმის“ წიგნი გამეფორმებინა. ყველა, რატომძაც, ყოველთვის ვეფხვისა და მოყმის შეჭიდების სცენას გამოსახავს, მაშინ როცა ამ ბალადის დედააზრი სხვაა - დედის ტირილი და ვეფხვის დედასთან სამძიმარზე ნასვლის სურვილი. მოკლედ, მეც სწორედ ეს სცენა გამოვსახე - მოტირალი დედა, დახოცილი ვეფხვი და მოყმის ფონზე... როდესაც მითხრეს რომ ეს წიგნი მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე, მათ შორის აფხაზურადაც გამოიცემოდა, უარი ვთქვი ჩემ მონაწილეობაზე, რადგან ვერ ნარმომედგინა ქართული ტოლერანტობის ეს შესანიშნავი ნიმუში აფხაზურ, უფრო სწორად აფსუას ენაზე დაწერილი რუსული კირილიცის ასო-ნიშნებით.

მოკლედ, მაშინ მივიტანე კიდეც უმაღლეს საბჭოში დროშის ჩემი ვარიანტი, რომელსაც, ასე ვთქვათ, აფხაზებმა ცალი თვალით შეხედეს და არც კი განხილულა იგი, ვფიქრობ, მასში გამოყენებული ქართული თემატიკის გამო.

შექმნა თუ არა აფხაზეთის მაშინდელმა უმაღლესმა საბჭომ სპეციალური კომისია?

სხვათა შორის, ქართული მხარე საერთოდ წინააღმდეგი იყო, რომ სიმბოლიკა შეცვლილიყო. ამიტომაც კომისიაში, რომელიც აფხაზებმა შექმნეს, არცერთი ქართველი არ გაწევრიანებულა.

ვინ არის აფხაზეთის დროშისა და გერბის ავტორი? მიწვეული იყო იგი კომისიის მიერ თუ თავად, საკუთარი ინიციატივით ნარმოადგინა კომისიაში საკუთარი ვარიანტი?

მე საკმაოდ გვიან შევიტყვე, რომ სიმბოლიკის შექმნის საკითხი მხატვარ ვალერი გამგიასათვის ჰქონდათ დავალებული და პრაქტიკულად გადაწყვეტილიც იყო მის მიერ შექმნილი დროშის მიღება. ბუნებრივია, მას ეტყოდნენ, რომ დროშა უნდა ყოფილიყო წმინდად აფხაზური და არავითარი ქართული არ უნდა ასახულიყო. მაგრამ როგორ უნდა ახსნან აფხაზებმა დროშაზე ხელის გამოსახულება... ან თუნდაც მწვანე-თეთრი ზოლები, რომელიც XIV-XV საუკუნეების სხვადასხვა ევროპულ რუკებზეა ნაჩვენები ქართულ ხუთჯვრიან დროშასთან ერთად და ქალაქ სებასტოპ-

ოლისის ანუ სოხუმის დროშაა... შეუა საუკუნეების ამ პერიოდში ხომ არ არსებობდა ცალკე აფხაზეთის სამეფო და ეს ნიშნებიც ხომ წმინდად ქართულია...

ერთ საინტერვესო ისტორიასაც გავიხსენებ: მე გაგონილი მქონდა, რომ არსებობს აფხაზი თავადების მიერ რუსეთის იმპერატორისადმი მიწერილი წერილი. ამ დროს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტმა (МГУ) დაარსების 225 წლისთავის აღსანიშნავად მხატვრული გაფორმებისათვის საკავშირო კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც გავიმარჯვე. მოსკოვში ყოფნით ვისარგებლე და ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის რუმიანცევის ფონდში ვნახე ეს წერილი და დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ მისი ასლი გადავადებინე.

მაშინ შემთხვევით მოსკოვში შემხვდა ისტორიკოსი ედიშერ ხომტარია-ბროსე და ვაჩვენე კიდეც ეს ასლი, რომელიც ქართულად, ქართული ანბანით არის დაწერილი. იმის გამო, რომ მე მოსკოვში უნივერსიტეტის გაფორმებაზე ვმუშაობდი, რის გამოც კიდევ დიდი ხნით მომიწევდა დარჩენა, ვთხოვე წერილის ეს ასლი თბილისში ჩამოეტანა და ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდისათვის გადაეცა, რადგან, დიდი ალბათობით, ეს მნიშვნელოვანი წერილი იქ არ იქნებოდა. დღეს ყველას შეუძლია ნახოს აფხაზი თავადების მიერ რუსეთის იმპერატორისადმი მიწერილი ამ წერილის ასლი, რომელიც, როგორც ვთქვი, ქართულ ენაზეა დაწერილი ქართული ასო-ნიშნებით და არა აფსუას ენაზე.

აფხაზეთის დროშაზე მწვანე და თეთრი ზოლები და ასევე ვარსკვლავები შვიდია და, როგორც თავად ამბობენ, აფხაზეთის შვიდ მხარე-რეგიონს განასახიერებს, რომელიც მანამდეც არსებობდა. ესენია - გალი, ტყვარჩელი, ოჩამჩირე, გულრიფში, სოხუმი და სოხუმის რაიონი, გუდაუთა და გაგრა. თავად აფხაზები მათ უწოდებენ შვიდ თემს - საძები (იგივე ჯიქეთი), ბზიფი (იგივე გუდაუთა), გუმაა (იგივე გუმისთა ანუ სოხუმის რ-ნი და გულრიფში), აბუუა (ოჩამჩირე), სამირზაკან (იგივე სამურზაკანი), დალ-ცაბალი (იგივე დალის ხეობა და წებელდა) და ფსხუ-აიბგა.

აქ მინდა ისიც ვთქვა, რომ აფხაზეთისთვის ახალი სიმბოლიკის მიღების იდეა უკვე დიდი ხნის მომწიფებული თემა იყო, რითაც დაუპირისპირდებოდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოს. ამის მთავარი იდეოლოგიური სტრუქტურა იყო არაფორმალური საზოგადოება „აიდგილარა“. მას ჰქონდა თავისი საკუთარი დროშა, რომლის ელემენტები შემდეგ აფხაზეთის დროშაში გაზიარებული

იყო. პრაქტიკულად, „აიდგილარა“ იყო მთავარი საბაზო ორგანიზაცია, რომელიც არა მარტო სიმბოლიკის თვალსაზრისით, არამედ სახელისუფლო სტრუქტურებიც უნდა ჩამოეყალიბებინა და, საერთოდ, მის გარეშე არ კეთდებოდა არაფერი. ზოგიერთი კულუარული ინფორმაციით, რუსებიც იღებდნენ ამაში მონაწილეობას, რომელთაც მეტი ინფორმაცია და თეორიული მომზადებაც ჰქონდათ ამ საკითხში.

„აიდგილასთან“ იყენები ისტორიკოსი აკადემიკოსი სლავა ლაკობა, ისტორიკოსები ოლეგ ბლაზბა და იური ვორონოვი. ამიტომ, სავარაუდოდ, დროშა ამ სამეულთან ერთად, კოლექტიური შემოქმედებითი შრომის შედეგია. რაც შეეხება თავად აფხაზების დამოკიდებულებას საკუთარი დროშის მიმართ, ისეთია, რომ იგი ვიზუალური თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოა და იდეალურად გადმოსცემს, როგორც თავად ამბობენ - Апенси душა-ს.

აფხაზეთის დროშა და გერბი 1992 წლის 23 ივნისის უმაღლესი საბჭოს სესიაზე იქნა მიღებული და 2005 წლიდან ეს დღე (23 ივნისი) აფხაზეთის დროშის დღედ არის გამოცხადებული. პქონდა თუ არა ვალერი გამგიას წარმოდგენილი დროშის სხვა ვარიანტიც, მე ვერ გეტყვით, რადგან ჩვენ დეპუტატებს დროშის საბოლოო ვარიანტი გვაჩვენეს. ითქვა, რომ ეს არის მიღებული და კომისის მიერ დამტკიცებული. ფაქტიურად, ჩვენ, ქართველები, ფაქტის წინაშე დაგვაყენეს)

(ინტერვიუს მომზადებაში დაგვეხმარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია და ამავე საბჭოს დეპუტატი თემურ მუავია)

მომზადა დავით კლდიაშვილია

თბილისის გერბისა და დროშის პრეზენტაციის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების, გერბისა და დროშის შერჩევა, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების სიმბოლოების ერთიან სისტემად ჩამოყალიბების ერთგვარი დაგვირგვინებაა. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების ეს ერთიანი სისტემა ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობასა და ტერიტორიული სიმბოლოების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინების საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს.

ამ პრინციპებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიმუშავა და დაამტკიცა საკუთარი გერბი და დროშა საქართველოს 70-მა მუნიციპალიტეტმა და თვითმმართველმა ქალაქმა.

თბილისის ამჟამად მოქმედი სიმბოლოები ვერ აქმაყოფილებს ჰერალდიკურ და ვექსილოლოგიურ მოთხოვნებს, გერბი ამ სახით, 2005 წლის 8 ივნისს დამტკიცდა, ხოლო დროშა 1989 წლიდანაა თბილისის სიმბოლო. ამ სიმბოლოებს მნიშვნელოვან მხატვრული და დღეს უკვე ისტორიული ღირებულება აქვს და ამდენად, ახალი, შესაბამისად გამართული, სიმბოლოების შერჩევის შემდეგ თბილისის გერბი შენარჩუნდება ქალაქის ებბლემებად.

2023 წლის 20 დეკემბერს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების (გერბი და დროშა) ნიმუშების შესარჩევი კომისია“ შეიქმნა.

კომისიამ, საქართველოს კანონმდებლობასა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მათ შორის ავტორთა ანონიმურობის პრინციპის დაცვით, შეიმუშავა საკონკურსო პირობები; კონკურსი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბისა და დროშის შესარჩევად“ 2024 წლის 27 თებერვალს გამოცხადდა. საკონკურსოდ მასალების მიიღება დაშვებული იყო 2024 წლის 1 მარტიდან - 30 აპრილის ჩათვლით.

კომისიამ, ქ.თბილისის მერის კახა კალაძის და ქ.თბილისის საკრებულოს თამჯდომარის გიორგი ტყემალაძის თანდასწრებით, საკონკურსო მასალების განხილვის რამდენიმე სხდომა ჩაატარა. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი, წარმო-

მადგენლობითი ორგანოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძე, საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ კახეთელიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი მარიკა დარჩია. კომისიაში, საზოგადოების განსხვავებული პროფესიის წარმომადგენლებთან ერთად, მიწვეულნი იყვნენ „ჰერალდიკის, ვექსილოლოგიისა და სიმბოლიკის კვლევის ცენტრის“ საბჭოს წევრები.

2024 წლის 5 ივნისის კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა განიხილეს გერბისა და დროშის 27 საპროექტო ნამუშევარი, რომელიც, კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ გასაჯაროვდა თბილისის მერიის ვებგვერდზე.





საკონკურსო პირობის თანახმად, ავტორს ქალაქ თბილისის გერბისა და დროშის პროექტის ერთიანი კონცეფცია უნდა წარმოედგინა, სადაც ჰერალდიკური ენით, ამ ორი სიმბოლოს ურთიერთბმა უნდა გამოეხატა.





კონკურსში მონაწილეობის მიღება წებისმიერ მოქალაქეს ან მოქალაქეთა ჯგუფს შეეძლო, შემთასებელი კომისიის წევრისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოში, მათ შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სსიპ-ში დასაქმებული პირის გარდა.





„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების (გერბი და დროშა) ნიმუშების შესარჩევი კომისიის“ დადგენილებით კონკურსში წარმოდგენილი გერბისა და დროშის პროექტებიდან კომისიამ არც ერთი არ მოიწონა და შესაბამისად, არ გამოავლინა გამარჯვებული.





კომისიამ ქალაქ თბილისის სიმბოლოების - გერბისა და დროშის ახალი კონკურსის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თარიღიც დამატებით გამოცხადდება.





დავით კლდიაშვილი ჰერალდიკის სპეციალისტი




























**საქართველოს პარლამენტის არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს
2023 წლის ანგარიში**

მოკლე შეჯამება: მთავარი მიღწევები და გამოცვევები

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ძირითადი საქმიანობა 2023 წლის საანგარიში ჰერიდში „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით (4313-III) განსაზღვრული ვალდებულების და 2022 წლის 14 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №572-ე დადგენილების შესაბამისად უკავშირდებოდა სახელმწიფო დაწესებულებების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების (ემბლემა, დროშა, განმასხვავებელი ნიშანი, უნიფორმა, ოფიციალური დოკუმენტი, სახელმწიფო და უწყებრივი ჯილდო და სხვა) შეთანხმებას, ერთიანი სახელმწიფო მხატვრულ-შინაარსობრივი სახის ჩამოსაყალიბებლად.

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო არის საქართველოს პარლამენტთან მოქმედი ორგანო, რომელიც არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებსა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებულ საკითხებს. ჰერალდიკის საბჭოს ხელმძღვანელობა წარმოდგენილია საბჭოს თავმჯდომარის და მოადგილის სახით; ხოლო საშტატო ერთეულის საერთო რაოდენობა შეადგენს 15-ს.

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დებულებით და სხვა სათანადო სამართლებრივი აქტებით.

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ძირითადი ამოცანებია: სახელმწიფო სიმბოლოებთან და მათი გამოყენების შესახებ წინადადებების შემუშავება; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების სიმბოლოების შექმნასა და მათი გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება; სახელმწიფო ცერემონიის, ოფიციალური ღონისძიებისა და

სამხედრო აღლუმის მოწყობისას სახელმწიფო სიმბოლოების და სხვა ჰერალდიკური ნიშნების გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა; საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმლისა (უნიფორმებისა) და განმასხვავებელი ნიშნების, უწყებრივი ჯილდოების, დროშების ერთობლიობისა და ემბლემების შექმნისა და მათი გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა.

1. საქმიანობის ძირითად მიმართულებები და შედეგები:

1.1 საქართველოს მთავრობის №572 დადგენილების აღსრულება

საქართველოს კანონმა „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ (4313-IIIს) განსაზღვრა საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს უფლებამოსილება, შეითანხმოს საჯარო დაწესებულებების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების (ემბლემა, ბლანკის ნიმუში) დადგენის და მათი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესები.

ამასთან, კანონმა დაავალდებულა სახელმწიფო დაწესებულებები, საბჭოსთან შეეთანხმებინა მანამდე დადგენილი სიმბოლოები 5 წლის ვადაში. დაწესებულებებისთვის განსაზღვრული სამუშაოს დიდი მოცულობიდან გამომდინარე, რასაც დაერთო პანდემიით გამოწვეული სირთულეები, ვადა გახანგრძლივდა 2024 წლის 1 მაისამდე.

კანონის იმპლემენტაციის დროს გამოვლენილმა სირთულეებმა აჩვენა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებისთვის უფრო ზედმიწევნითი განმარტებების მიცემის და მათი მხატვრულ-შინაარსობრივი სახის კოორდინირებული მოწესრიგების აუცილებლობა.

კოორდინაციის და რეფორმირების პროცესის ფასილიტაციის მიზნით, მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთად დაიგეგმა ერთიანი სამთავრობო ემბლემების დადგენის და ბლანკების ფორმების, ასევე საზოგადოებასთან საკომუნიკაციო საშუალებებზე მათი გამოსახვის წესების სამთავრობო დადგენილებით განსაზღვრა.

2023 წლის დასაწყისიდანვე №572-ე დადგენილების აღსრულების მიზნით, საბჭომ გამართა კონსულტაციები სამინისტროებსა და საქეუწყებო დაწესებულებებთან. მათ შორის, სამუშაო შეხვედრები სამინის-

ტროების ადმინისტრაციული სამსახურის უფროსებთან.

საბჭომ დაწესებულებებს გააცნო (დაუგზავნა და საბჭოს ელ-გვერდზე ატვირთა) დადგენილების აღსრულებისთვის საჭირო ტექნიკური მონაცემები, რის საფუძველზეც დაწესებულებებმა დაიწყეს ემბლემების და ბლანკების შემუშავება, შეთანხმება და დადგენა.

აღსრულების დროს პერალდიკის საბჭო ხშირ შემთხვევაში უშუალოდ მონაწილეობდა დაწესებულებების ემბლემების შემუშავებაში, კორექტირებაში. ძალისხმევას მიმართავდა თითოეული სირთულის აღმოფხვრის მიზნით და ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში მთავრობის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით ამზადებდა დადგენილებაში ცვლილების პროექტს.

დადგენილების აღსრულების სტატისტიკა

საერთო სამთავრობო ემბლემაზე მუშაობისას საბჭოს საქმიანობა დაიტვირთა. თუ 2018-2020 წლებში დამუშავებული კორესპონდენციების რაოდენობა იყო წელიწადში საშუალოდ 68 კორესპონდენცია; 2021-2023 წლებში მათი რაოდენობა გაიზარდა 500%-ით (2022 წელს - 238 წერილი; 2023 წელს - 314 წერილი), ამათგან 2022 წლის ბოლოდან 2023 წლის მეორე კვარტლის ბოლომდე წერილების ძირითად რაოდენობას წარმოადგენდა სამინისტროების და მათი საქვეუწყებო დაწესებულებების ემბლემები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და კორესპონდენციის ბლანკები. მაგალითად, თავდაცვის სამინისტრომ შეათანხმა 300-ზე მეტი ბლანკის ნიმუში (შეთანხმება დაიწყო 2023 წლის თებერვლის ბოლოდან ელ-ფოსტის საშუალებით და მათი უმეტესობა დამტკიცდა სხვადასხვა დროს).

საბჭო განსაკუთრებით გადაიტვირთა 2023 წლის 9 იანვრიდან-1 ივლის-ამდე პერიოდში, როდესაც დამუშავდა №572-ე დადგენილებასთან დაკავშირებული 205 წერილი, რამაც შეადგინა 2023 წელს დამუშავებული კორესპონდენციების 75%);

თითოეული წერილი მეტნილად შეიცავდა დაწესებულების ემბლემების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და კორესპონდენციების (წერილების) ბლანკების ერთობლიობებს, ასევე მოითხოვდა დაზუსტებას, მათ შორის სამართლებრივს, რისთვისაც საბჭოს უწევდა დამატებითი კვლევა, გამოწვლილვითი ახსნა-განმარტებითი სამუშაოები, რომელსაც წინ უსწრებდა ელ-ფოსტით პროექტების მიღება და მათი

მხატვრულ-შინაარსობრივი დამუშავება, დაზუსტება.

საბჭომ შეითანხმა დადგენილებით გათვალისწინებული დაწესებულებების ემბლემების და ბლანკის ნიმუშების თითქმის 95%, ყველა სამინისტრო და სსიპ-ების უმტესობა. ბევრმა მათგანმა გამოსცა შესაბამისი ნორმატიული აქტი მათი დამტკიცების შესახებ.

მომზადდა ცვლილებები დადგენილებაში იმ სირთულეების მიხედვით, რომელსაც დაწესებულებები წააწყდნენ დადგენილების აღსრულებისას. თითოეულ მათგანთან საბჭომ გაიარა კონსულტაცია, სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსებს ჩაუტარდათ სემინარები, გამოითხოვა ინფორმაცია თუ რომელიმე დაწესებულებას ჰქონდა განკერძოებული ემბლემის დადგენის აუცილებლობა. საბჭომ განიხილა თითოეული მათგანის შენიშვნა, თვალთახედებში მიღების მიზანშენონილობა და შეძლებისდაგვარად სისტემურად ასახა დადგენილების ცვლილების პროექტში, ისე რომ არ დარღვეულიყო სახელმწიფოს ერთიანი მხატვრულ-შინაარსობრივი სახე.

საქართველოს მთავრობის N572-ე დადგენილების განხორციელება

სამინისტრო	ევგლეთა	პლანი	ვათანაბეჭდი	დამტკიცება	გამოყენება
საგარეო სამმართველო	+	+	20/06/2023	-	-
შოთავარის სამმართველო	+	+	20/06/2023	-	-
თავდაცვის	+	+	20/06/2023	30/06/2023	+
იუსტიციის	+	+	16/03/2023	27/04/2023	+
ფინანსთა	+	+	21/06/2023	27/06/2023	+
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის	+	+	18/04/2023	30/05/2023	+
სუს, გრ. დუვა, შიგნია და ჯავალავის	+	+	19/05/2023	20/06/2023	+
ეპორმოიდასა და მდგრ. განვითარების	+	+	28/02/2023	27/07/2023	+
ინფრასტრუქტურისა და რეგ. განვითარების	+	+	05/04/2023	26/04/2023	+
განათლების	+	+	11/05/2023	26/06/2023	+
ერაყოფასა და სორიტის	+	+	19/06/2023	-	-
ვარიზებობისა და სამოქ.	+	+	19/06/2023	-	+

საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებული სიმბოლოების ჩამონათვალი დაწესებულებების მიხედვით

საქართველოს მთავრობა (შეთანხმებულია ელ.ფოსტით 25.04.2023) ემბლემა; ბლანკები; სსიპ: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

(პრემიერ-მინისტრის ბლანკი - ქართული და ინგლისური; პრემიერ-მინისტრის ბრძანება; მთავრობის ადმინისტრაცია - ქართული და ინგლისური; მთავრობის დადგენილება; მთავრობის განკარგულება; მთავრობის სხდომის ოქმი; მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება).

საქართველოს ოუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: ემბლემა; ბლანკები; სსიპ: 12; 40-მდე რეგიონული სააგენტო;

1. სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
2. სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო;
3. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (რეგიონული სააგენტო 5<);
4. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო;
5. სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების (ცენტრი (გამონაკლისი));
6. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო;
7. სსიპ საქართველოს სამედიცინო პოლინგი;
8. სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო;
9. ინფორმაციული მმართველობის სააგენტო IIA;
10. სურსათის ეროვნული სააგენტო; (რეგიონული სააგენტო 20<)
11. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური (ბლანკები; ემბლემა შეთანხმებული იყო);
12. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; (რეგიონული სააგენტო 10<)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: ემბლემა, ბლანკები; სსიპ: 10

1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
2. განათლების საერთაშორისო ცენტრი;
3. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
4. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
5. მასწავლებლის სახლი;
6. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვი-

თარების სააგენტო;

7. საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრი;
8. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
9. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
10. მანდატურის სამსახური (ბლანკები; ემბლემა შეთანხმებულია კანონით)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო:
ემბლემა, ბლანკები. (წერილის ბლანკები, მინისტრის ბრძანებები, ვიცე-პრემიერის ბლანკი). სსიპ: 3 - ბლანკები; 1 ემბლემა და ბლანკები.

1. სახელმწიფოს ქონების სააგენტო;
2. ინვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
3. აწარმოვე საქართველოში;
4. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (ემბლემა; ბლანკები);

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო:
ემბლემა; ბლანკები. სსიპ: 10

1. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო;
2. გარემოს ეროვნული სააგენტო;
3. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი;
4. დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების;
5. ეროვნული სატყეო სააგენტო;
6. ველური ბუნების სააგენტო;
7. სახელმწიფო ლაბორატორია;
8. მიწის ეროვნული სააგენტო;
9. სურსათის ეროვნული სააგენტო;
10. ლვინის სააგენტო;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: ემბლე-
მა, ბლანკები. სსიპ: 3

1. მუნიციპალური განვითარების ფონდი;
2. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;
3. საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: ემბლემა, ბლანკები. სსიპ: 8 (მხ-
ოლოდ ბლანკები)

1. იუსტიციის სახლი;
2. სახელმწიფო არქივი;
3. საჯარო რეესტრი;
4. საკანონმდებლო მაცნე;
5. სპეციალური პენიტენციური სამსახური;
6. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
7. იუსტიციის სასწავლო ცენტრი;
8. აღსრულების ეროვნული ბიურო;

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: ემბლემა, ბლანკები. სსიპ: 4 (მხოლოდ ბლანკები)

1. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;
2. სახაზინო სამსახური;
3. სსიპ შემოსავლების სამსახური;
4. სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო: ემბლემა, ბლანკები. სსიპ (მხოლოდ ბლანკები)

1. სსიპ საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო;

საქართველოს შერიგებისა და სამიქე.თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი: ემბლემა, ბლანკი.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო: ემბლემა, ბლანკი. სსიპ (ბლანკები)

1. ჯანსულ კანიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი;
2. აზერბაიჯანული თეატრი;
3. თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: ემბლემა, ბლანკი. სსიპ (არ არის ვალდებული)

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: ემბლემა, ბლანკი. სსიპ (არ არის ვალდებული).

1.2. საბჭოს რეორგანიზაცია, საშტატო განრიგის შესწორება, დაფინანსე-

ბის საკითხის გადახედვა ეფექტურობის გაზრდის მიზნით

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფისათვის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობების მონესრიგებისათვის, მათ შორის თანამდებობების ერთიანი სტანდარტით იერარქიულ რანგებში ოპტიმალური განაწილებისათვის, 2023 წლის 1 იანვრიდან დაიგეგმა და განხორციელდა რეორგანიზაცია.

მომზადდა შემდეგი დოკუმენტები: რეორგანიზაციის განხორციელების გეგმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების პროექტი „საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“. საბჭოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტები: სტრუქტურულ ერთეულებში რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ, დასაქმებული პირებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ, პროფესიული საჯარო მოხელეების სამუშაოთა აღწერილობების დამტკიცების შესახებ.

მოხდა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს სტრუქტურულ ერთეულებში მიმდინარე რეორგანიზაციას დაქვემდებარებული პროფესიული საჯარო მოხელეების გამოვლენა და გაფრთხილება; განხორციელდა მობილობა 4 საჯარო მოხელესთან დაკავშირებით.

ჩატარდა ახალი სტრუქტურით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ახალი სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შემდეგ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის მეშვეობით გამოვაცხადეთ და საკონკურსო კომისიასთან ერთად ჩატარდა კონკურსი 5 საშტატო ერთეულზე. შედეგი დადგა 3 ვაკანსიაზე; საანგარიშო პერიოდში კონკურსის საფუძველზე გამოვლინდა და დასაქმდა ასევე 1 სტაჟიორი.

1.3. ჰერალდიკისა და ვექსილოლოგის კონფერენცია

2023 წლის 15-17 სექტემბერს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ასევე „ჰერალდიკის, ვექსილოლოგისა და სიმბოლიკის კვლევითი ცენტრის“ მხარდაჭერით გაიმართა ჰერალდიკისა და

ვექსილოლოგის მესამე კონფერენცია „ჰერალდიკა და ისტორიული წყაროები“.

საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების უმნიშვნელოვანეს წყაროს ნარმოადგენს ისტორიული საზღვაო რუკები (პორტულანები), რომელზეც საქართველო, მისი ადგილობრივი თვითმმართველობები მონიშნულია ვექსილოლოგიური და ჰერალდიკური სიმბოლოებით.

კონფერენციაში ქართველ ექსპერტებთან და მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდა 10-მდე ქვეყნის ჰერალდიკის და ვექსილოლოგის საერთაშორისო ექსპერტი და მეცნიერი, მათ შორის ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი ელისაბედ როუდსი.

1.4. ქალაქ თბილისის სიმბოლოების (გერბი, დროშა) დადგენა

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ საქართველოს კანონით“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით“ განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით, გადაწყდა და დაიგეგმა ქ.თბილისის სიმბოლოების (დროშა და გერბი) დასადგენად კონკურსის გამოცხადება.

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტმა (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) შეიმუშავა და დაიდგინა სიმბოლოები, რაც გულისხმობს კონკურსის წესით სიმბოლოების შერჩევას და შეთანხმებას პარლამენტ-თან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

საბჭოს და მერიის თანამშრომლობით განისაზღვრა საკონკურსო პირობები, ჰერალდიკური ნორმების და საქართველოს მუნიციპალური ჰერალდიკისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-შინაარსობრივი სტილის საფუძველზე.

ქ.თბილისის გერბისა და დროშის გამოსავლენად კონკურსი ჩატარდება საერთაშორისო სტანდარტით, გამჭვირვალედ. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ როგორც საქართველოს ისე უცხოელ სპეციალისტებს. საკონკურსო კომისია შედგა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით. კონკურსს ეყოლება ერთი გამარჯვებული და მისი ნამუშევარი დადებითი დასკვნის მისაღებად გადაეგზავნება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს.

1.5. ურთიერთობა საერთაშორისო პარტნიორებთან და ორგანიზაციებთან

ჰერალდიკის საბჭო ორმხრივი მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობს სხვა სახელმწიფოების შესაბამის დაწესებულებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია და მუდმივად ჩართულია ჰერალდიკის საკითხებზე გამართულ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში.

აღნიშნული ვალდებულებების და საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 29 სექტემბრის №-7200-ს დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს დებულების“ შესაბამისად 15.08.2023 - 20.08.2023 პერიოდში, შვედეთში, ქ. ლუნდში სკანდინავიის ჰერალდიკური საზოგადოების (Societas Heraldica Scandinavica) მიერ ორგანიზებულ, ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის 22-ე კოლოკვიუმში (XXII Colloquium of the International Academy of Heraldry) და აკადემიის პლენარულ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად საბჭომ მიავლინა ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა გონგაძე და თავმჯდომარის მოადგილე დავით ჩხეიძე.

საანგარიშო პერიოდში შედგა ასევე ვიზიტი საფრანგეთის რესპუბლიკაში, ქ.პარიზში 02.10.2023 - 07.10.2023. საქართველოს სახელმწიფო დროშის ორი ახალი ნიმუშის შესწავლის მიზნით, რომლებიც დაცულია საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საფრანგეთის ეროვნულ არქივში. ამავე ვიზიტის ფარგლებში მოხდა შეხვედრა საფრანგეთის ჰერალდიკის საბჭოშიც.

1.6. საგამომცემლო საქმიანობა

საბჭოს მხარდაჭერით გამოიცა პირველი ინგლისურენოვანი წიგნი ქართული ჰერალდიკის შესახებ, თორნიკე ასათიანის ავტორობით.

2. უწყებრივი თანამშრომლობა და სხვა საქმიანობა

საქართველოს პარლამენტთან გრძელდება მუშაობა სახელმწიფო ჯილდოებისა და დაჯილდოების ერთიანი სისტემის სრულყოფისთვის უწყებათშორისო კომისიის შექმნის მიმართულებით. ასევე გაღრმავდა დაჯილდოების სისტემების კვლევა, რის საფუძველზეც მომზადდა პრეზენტაციები; მიმდინარეობს მუშაობა „სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფაზე, საბჭომ შეისწავლა და შეიმუშავა საქართველოს პარლამენტის ემბლემის ვერსიები.

2.1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან

- შეთანხმდა, შეთანხმდა და დამტკიცდა უწყებრივი მედალი: „გიორგი ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესი“;
- შეთანხმდა და გაიცა დასკვნა თავდაცვის სამინისტროს საპატიო სიგელის პროექტზე;
- შეთანხმდა და გაიცა დადებითი დასკვნა გენერალ გ.კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ოცეუმის სააღლუმე/ყოველდღიური სამხედრო ფორმის ნიმუშებზე;
- მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებთან უწყებრივი მედლის „შიული შარტავა“ პროექტის დადგენაზე;
- სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დეპარტამენტის ლოგოები და დროშები ჰერალდიკის საბჭოს დიზაინერების მიერ ჩასწორდა და გადაეგზავნა სამინისტროს დასამტკიცებლად.
- გაიცა დადებითი დასკვნა საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის რიგით/კაპრალთა, სერუანტთა და უმცროს ოფიცერთა შემადგენლობიდან საუკეთესო სამხედრო მოსამსახურეთა დაჯილდოების სერტიფიკატის ნიმუშზე.
- გაიცა დადებითი დასკვნა კიბერუსაფრთხოების ბიუროს ემბლემის პროექტზე.
- ურთიერთთანამშრომლობით ჩასწორდა და გაიცა დადებითი დასკვნა პროექტზე უწყებრივი მედლის „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში 30 წლის სამსახურისთვის“.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან

- შეთანხმდა და გაიცა დადებითი დასკვნა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
- სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეების ფორმის ტანსაცმლის განახლებულ და ახალ ესკიზებზე.
- მიმდინარეობს მუშაობა სასაზღვრო პოლიციის მიერ წარმოდგენილ პროექტზე - სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ხომალდებზე საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვის წესის შემუშავების თაობაზე.

- შეთანხმდა, შესაბამისი დასკვნა გაიცა და დამტკიცდა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების საერთო სახომალდო სიგნალების ცხრილზე.

საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან

- შეთანხმდა სსიპ საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის ემბლემა და აღნერილობა, ჰერალდიკურად გასწორდა, გაიცა შესაბამისი დასკვნა და დამტკიცდა;

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე ხელმეორედ შეთანხმდა და გაიცა დადებითი დასკვნა წარმოდგენილ ემბლემის, ბანერისა და ბლანკების პროექტებზე;

- შეთანხმდა და გაიცა დადებითი დასკვნა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოდგენილ საბაზო და სრული ზოგადი განათლების ატესტატების, პროფესიული განათლების დიპლომების პროექტებზე.

- შეთანხმდა და გაიცა დადებითი დასკვნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ უწყებრივი სამკერდე ნიშნის „მასწავლებლის ეროვნული პრემია“ პროექტზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან

- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ „საქართველოს მოქალაქეების პირადობის ელექტრონული მოწმობისა და საქართველოში მცხოვრები უცხოელის ბინადრობის ელექტრონული მოწმობის ფორმებისა და ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებზე გაიცა დადებითი დასკვნა;

- უწყებრივ ჯილდოებზე („იუსტიციის მედალი“, „დამსახურებული იუსტიციები“ და სამინისტროს მედალითი) გაიცა შენიშვნები და გრძელდება მუშაობა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ჩასწორდა და გაიცა დადებითი დასკვნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს ემბლემის, ოფიციალური კორესპონდენციების (წერილის) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ბანერის ნიმუშებზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით, დაიწყო თანამშრომლობა „აკაკი ჩხენეველის სახელობის“ უწყებრივი მედლის პროექტზე.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან

- დაიწყო სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და კონსულტაციები სპორტულ ღონისძიებებზე, ქვეყნის შიგნით თუ უცხოეთში ორგანული კანონით განსაზღვრული სახელმწიფო დროშის სწორად გამოსახვის, აღმართვის რეკომენდაციების გაწევისა და განმარტებისთვის.

ავტონომიური რესპუბლიკების სიმბოლოების და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების სრულყოფის მიზნით, საბჭო თანამშრომლობს რესპუბლიკების უწყებებთან.

საანგარიშო პერიოდში (2023 წელი) შემოვიდა 315 წერილი და გავიდა 290 წერილი.

SUMMARIES IN ENGLISH

ROYAL GORGASLIAN FLAG: FROM THE BOOK -
GEORGIAN FLAGS,
ch. 1953, p. 15–20.

SARA BARNAVELI

The royal flag of Georgia, as documented in historical writings from the 12th to the 14th centuries, bears names associated with the mighty kings of Georgia: Gorgaslian, Davitian, and “Bagratoanuri.”

This emblematic flag is referenced in accounts from the United Kingdom of Georgia. Notably, the first historian of King Tamar recounts an episode from Abxubakr Atabag’s incursions, where he describes the royal flag: “Upon our approach to Sindeti, our eyes beheld the snow-white banner wavering like a symbol of ancientness.” Subsequent writings by Georgian and Armenian chroniclers consistently highlight the flag’s white color.

According to Bagrat Batonishvili, a Georgian historian, “the flag attributed to King David Aghmashenebeli was captured from the Imereitians by the Ottomans” during the battle of Akhaltsikhe on November 5, 1810. Although the royal flag of Georgia is presently considered lost, it remains possible that it may be located within the Ottoman Empire.

THE MARITIME FLAG OF DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA: A BRIEF HISTORY

NIKOLOZ NIKOLOZISHVILI

Doctor of History

Ambassador-at-large, Ministry of Foreign Affairs of Georgia

After Georgia declared independence on May 26, 1918, disputes arose over ownership of the Black Sea Fleet, claimed by Georgia, Ukraine, the Volunteer Army, and later Soviet Russia. Despite these challenges, Georgia acquired several vessels for civil and military use.

The first record of a Georgian flag on a ship dates to March 1919, during the launch of the patrol vessel Patara Kakhi. However, no details about the flag's design were mentioned. A law passed on December 13, 1919, stipulated that Georgian military ships would use a "military flag" (samkhedro bairaghi), while trade ships would use the "Georgian flag" (qartuli bairaghi), likely referring to the national flag adopted on September 10, 1918.

In late 1919, Argentina, the first country to recognize Georgia's independence de jure (on September 15, 1919), through its diplomatic mission in Berlin requested a sample and description of the Georgian flag for cases determined by the International Code of Signals, and for paying honor prescribed by the Naval Ceremonies. Georgia's diplomatic representative in Berlin V. Akhmeteli sent a description in December 1919 and, later, a sample of the maritime flag on May 5, 1920. This flag was a slightly modified version of the national flag of Georgian Democratic Republic, differing only in proportions: the black and white stripes occupied half the flag's height and two-thirds of its length instead of two-fifths.

Inspired by Argentina's request, Georgia launched a campaign at the Paris Peace Conference to secure international recognition for Georgian ships to sail under their national flag. In January 1920, the Head of Georgian Delegation N. Tcheidze submitted a description and sample of the maritime flag to Allied and Associated Powers, including Argentina. This

version matched the proportions of the national flag of the Republic.

It appears that the earlier sample sent from Berlin was initially considered as the maritime flag, but to streamline the approval process, Georgia ultimately used the national flag design. Consequently, the unique Berlin sample, preserved in Argentina's diplomatic archives, remains an historical exception.

KNIGHTS OF THE GOLDEN FLEECE A BRILLIANT MYTH UNRAVELLED

HANNAH ITERBEKE

In 1430, Philip the Good founded the Order of the Golden Fleece, a knightly order considered today as one of the earliest and most significant trans-European political alliances.

Museum Hof van Busleyden's exhibition "Knights of the Golden Fleece": A Brilliant Myth Unravelled introduces visitors to the Order of the Golden Fleece. While there is no direct link between the two organisations, this exhibition also aims to raise questions about the relationship between this mediaeval alliance and the present-day European Union. Knights of the Golden Fleece examines the similarities as well as the differences between them, thereby revealing the universal nature of these political alliances, which involve everything from solidarity and cooperation to tension and conflict.

This exhibition is part of the Construct Europe programme.

FROM THE HISTORY OF GEORGIAN HERALDRY.
(Magazine “Soviet Art”, No. 1, 1957)

M. VADBOLSKI

Heraldry, known as “Gerbtmtsodneoba,” focuses on the study of coats of arms of various types and functions and the analysis of the conceptual and symbolic signs depicted on each coat of arms. Contemporary research is broadening the scope of heraldry to include the examination of folk and ritual symbolism. The richness and diversity of Georgian heraldry are exemplified by the ancient artifacts preserved to the present day.

CORRESPONDENCE BETWEEN VADBOLSKY AND
TARNOVSKY (RUSSIAN-GEORGIAN)

The correspondence addresses the French publication “Vexillologia,” which features an examination of the flags from the period of unified Georgia. Additionally, it presents flags associated with the Georgian kingdoms and principalities of the 18th century, as documented in sources including Georgian Visual sources.

AN ADDITIONAL COAT OF ARMS
ATTRIBUTED TO GEORGIA

ZACHARY KIKNADZE

In the third issue of “Heroldi” magazine (2014), our article under the title of “The Ancient Georgian Coat of Arms” was published. The article discussed the coats of arms depicted in Konrad von Grünenberg’s “Wappenbuch” dated 1483, which are related to Georgia. Before the publication of the article, it was believed that only four coats of arms were

attributed to Georgia within Grünenberg's book, and these had already been studied by Georgian researchers. It should be noted, that it was never confirmed that the four coats of arms were used within Georgia, leading to them being considered as attributed heraldry. Before the evidence was presented in the 2014 article, a majority of scholars believed that the oldest attribution of territorial arms to the Georgian kingdoms and lands were those depicted in the "State Book" also known as the "Titularnik" of the Tsar and Grand Duke of Muscovy, Aleksey Mikhailovich, published in 1672. In addition to these four, Georgian Heraldist Zachary Kiknadze traced the fifth coat of arms related to Georgia previously unknown to Georgian researchers. This is the coat of arms attributed to Lazica, written as "Lasya" by Grünenberg. It depicts the "Inflamed Mountain" and it is the only instance from Grünenberg's arms attributed to the Georgian lands which has been proven to actually have been used in Georgia. The western Georgian territorial term "Lasya" was often used in medieval times to describe all of western Georgia, known to westerners as the ancient Kingdom of Colchis or Lazica during the later Roman period. In later centuries, this coat of arms was attributed to different parts of Georgia, among them was the late medieval/early modern eastern Georgian Kingdom of Kartli, known in the west as Kingdom of Iberia and the Kingdom of Georgia. Zachary Kiknadze has now identified another coat of arms depicted in Grünenberg's "Wappenbuch". This coat of arms placed next to the coat of arms of Cyprus, depicts a shield or, three lions passant guardant in gules armed or and langued azure, representing the Kingdom of Iberia (Der König von Ybernia). In Zachary Kiknadze's opinion, this coat of arms is not representing the ancient Georgian Kingdom of Iberia (Iberia-Kartli), but the medieval Georgian Kingdom of Iberia also known in Greek as Iveria (Kingdom of Kartvels). In the authors opinion, it's possible that the confusion between the similar Latin names of Georgia and Ireland (Hybernia, Ybernya, Iberia and etc.) is also playing a role, however, Grübenberg depicted two coats of arms attributed to Ireland on a separate page next to Scottish coat of arms, while the coat of arms attributed to Iberia are depicted next to the arms of Cyprus. This positioning reinforces the idea that the arms are attributed to the Georgian Kingdom of Iberia rather than Ireland.

THE PROJECT OF THE FLAG OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ABKHAZIA

(Interview with Nugzar Mgaloblishvili, a deputy of the then Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia)

The session of the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia adopted the flag and coat of arms of the republic on July 23, 1992; its author is the artist Valeri Gamgia. Another version of the coat of arms and flag was presented by the member of the Supreme Council Nugzar Mgaloblishvili; as N. Mgaloblishvili recalls, his version was not considered due to its Georgian theme. Since 2005, July 23 has been declared the Day of the Flag of Abkhazia.

ABOUT THE COMPETITION FOR THE COAT OF ARMS AND FLAG OF TBILISI

On June 5, 2024, during a meeting of the Commission for the Selection of Symbols of State Significance (Coat of Arms and Flag) of the Tbilisi City Municipality, 27 designs for the coat of arms and flag were presented. However, none of the proposals received approval from the Commission, and no winner was determined. As a result, the Commission has decided to hold a new competition, with the date to be announced later.

REPORT OF THE STATE COUNCIL OF HERALDRY AT THE PARLIAMENT OF GEORGIA

On December 14, 2022, the Government of Georgia, in collaboration with the State Council of Heraldry at the Parliament of Georgia, formulated and adopted Resolution No. 572, which outlines the Rules for Depicting the Emblems of the Executive Power and Certain Public Institutions.

This initiative established a unified artistic content system for public institutions, which the Council endorsed. The system includes standardized samples for institutional emblems and templates for communication letters and administrative-legal forms. This publication offers a comprehensive report on the administrative process associated with this initiative.